

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მანანა ჩინჩალაძე

გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ელექტრონული სერვისების
პორტალის შემუშავება და დანერგვა ქვეყნის ფინანსურ სფეროში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკა“, შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2016 წელი

© საავტორო უფლება „მანანა ჩინჩალაძე, 2016 წელი“

თბილისი

2016

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფ. თინათინ კაიშაური

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის "-----" -----, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----

----- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის

სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებ გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფ. თინათინ კაიშაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მანანა ჩინჩალაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სისტემის შემუშავება და დანერგვა ბიზნეს სექტორში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის ხარისხის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი -----

ხელმძღვანელი: პროფ. თინათინ კაიშაური

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016 წელი

ავტორი: მანანა ჩინჩალაძე

დასახელება: „გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ელექტრონული სერვისების პორტალის შემუშავება და დანერგვა ქვეყნის ფინანსურ სფეროში“

ფაკულტეტი: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თემის აქტუალობა. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, ეფექტიანი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და განვითარებას. საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ელექტრონულ მმართველობაში განხორციელებული მიღწევების, მათი დამკვიდრებისა და განვითარების კუთხით, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს. დღეის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის მიერ საზოგადოებისთვის და გადასახადის გადამხდელებისათვის შეთავაზებული, მომსახურების მისაწოდებლად განკუთვნილი ბიზნეს პროცესების 90% -ზე მეტი, ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ აპლიკაციებს და ვებ-სერვისებს წარმოადგენს. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში ჩართულია ყველა გადასახადის გადამხდელი, რამდენიმე სახელმწიფო უწყებები, სხვა ქვეყნების (უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) საბაჟო სამსახურები და ჩვენი ქვეყნის ყველა კომერციული ბანკი. ყველაზე უმნიშვნელოვანეს მომსახურებას შემოსავლების სამსახურისთვის წარმოადგენს გადასახადის გადამხდელებისათვის გაწეული მომსახურება, რისთვისაც შექმნილია „გადამხდელის პორტალი“.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული იქნება „გადამხდელის პორტალის“ განხორციელების პროექტი, აღნიშნული სისტემის შემუშავება, მისი თავისებურებები, უპირატესობები და სარგებელი. აღნიშნული სისტემის ავტომატიზაცია განახორციელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა სისტემის მონაწილეები არიან შემოსავლების სამსახურის საქვეუწყებო დეპარტამენტები, საჯარო რეესტრის სამსახური, მოქალაქეები და გადასახადის გადამხდელები. დღეს ავტომატიზებული სისტემის არსებობამ, მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა, გაამარტივა ყველა ის ოპერაციული ქმედებები, რაც დაკავშირებული იყო ხელით შრომის სირთულეებთან. სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორში არსებული პროცესების მიმდინარეობის დაჩქარებას, ინფორმაციის რეალურ დროში მიღებას, ინფორმაციის გამჭვირვალობას, მომსახურების გაუმჯობესებას, ხარჯების შემცირებას, დოკუმენტების დამუშავებისთვის საჭირო დროის შემცირებას, ქვეყნის მასშტაბით მონაცემების მარტივად დამუშავებას, დროისა და რესურსების ეფექტურ მართვას.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული თემა „გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ელექტრონული სერვისების პორტალის შემუშავება და დანერგვა ქვეყნის ფინანსურ სფეროში“, ქვეყნის ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ერთერთი შემადგენელი ნაწილია. ელექტრონული სისტემების შემუშავება, დანერგვა, შემდგომი განვითარება

ხელს უწყობს ამ სტრატეგიის და მიზნების განხორციელებას. ელექტრონული მომსახურების სერვისების მართვის სისტემის დანერგვა ხელს უწყობს შემოსავლების სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებას, გადამხდელთა მომსახურების გამარტივებას, საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწას, საერთო სტანდარტების დანერგვას და შესაბამისად სადისერტაციო თემა „გადასახადის გადახმდელთა მომსახურების ელექტრონული სერვისების პორტალის შემუშავება და დანერგვა ქვეყნის ფინანსურ სფეროში“, უნდა ჩაითვალოს აქტუალურად.

ნაშრომის მიზანი და ძირითადი ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით პროცესების ავტომატიზაციისთვის კონცეფციის შემუშავება. პროექტის მიმდინარეობა წარიმართოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვის სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიის, საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, რაც საშუალებას მოგვცემს მომხმარებლებს, კერძოდ მოქალაქეებს და გადასახადის გადამხდელებს შევთავაზოთ ხელსაყრელი სერვისები, მომხმარებლის მოთხოვნებზე მუდმივად ორიენტირებული მომსახურება, სადაც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მიღწეული მიზნების და ხარისხის დონე ისე გამოყენებული რესურსების შეფასება. ნაშრომის ძირითადი ამოცანაა აღწეროს პროექტის მიმდინარეობა, რომელმაც უნდა გაიაროს ყველა სავალდებულო ფაზა - სერვისების სასიცოცხლო ციკლი. ნაშრომში განხილულია პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე გამოყენებული მეთოდოლოგია, განხილულია ამ სისტემის ავტომატიზებული პროცესები და სისტემის შესაძლებლობები, სისტემის შესაქმნელად გამოყენებული ინსტრუმენტი.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოყენებულია ელექტრონული მომსახურების სისტემის („გადამხდელის პორტალის“) შემუშავებისა და დანერგვის ამოცანების გადასაწყვეტად, სადაც ძირითადი აქცენტი მიმართულია შემოსავლების სამსახურის და ქვეყნის სტრატეგიული ხედვის მიზნების მიღწევაზე, ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების ანალიზზე და რესურსებზე, რომლებიც დაიხარჯა ამ მიზნების მისაღწევად.

Resume

Rationale. Democratic development of the country and effective state management are unimaginable without e-government, which from its part means application and development of modern information and communication technologies. Georgia takes one of the leading positions among countries of the Eastern Europe taking into account its achievements in the field of e-government, its introduction and development. Significant contribution to this process was made by the LEPL Revenue Service of the Ministry of Finance. As of today, more than 90% of business processes meant for provision of services are applications and web-services based on the web technologies. All taxpayers, several state authorities, customs services of other countries (Ukraine, Turkey, Azerbaijan and Armenia) and all commercial banks of our country are integrated into information system of the Revenue Service. The most important are for the Revenue Service services rendered to taxpayers for the purpose of which was created the “Taxpayer Portal”.

The project of implementation of the “Taxpayer Portal”, operation of the above-mentioned system, its peculiarities, priorities and benefits are considered in the work. Automation of this system was carried out by the Information Technologies Center of the LEPL Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia. Participants of the system are subordinate departments of the Revenue Service, Public Registry, citizens and taxpayers. Nowadays existence of automation system has reduced to minimum the number of mistakes and has simplified all operations related to difficulties of manual work. Introduction of the system facilitated acceleration of all processes existing in the state sector, receipt of information in real time, information transparency, improvement of services, cost reduction, reduction of time necessary for processing of documents, simple processing of data within the whole country, effective time and resource management.

The matter considered in the work and namely “Making the e-service portal for tax payers and the system implementation in country's financial field” represents one of the components of the reform related to strategy of finance management in the country. Processing, introduction and further development of electronic systems facilitates implementation of this strategy and achievement of its goals. Introduction of the system for management of electronic services facilitates effectiveness of the Revenue Service, simplification of services rendered to taxpayers, improvement of tax-customs procedures and introduction of general standards. Correspondingly, the matter concerning “Making the e-service portal for tax payers and the system implementation in country's financial field” can be considered as urgent.

The goal and basic tasks of the work. The goal of the work is to develop a concept for automation of processes through informational technologies in state sector. The project implementation shall be directed by using present-day methodology, best practices, conforming to international standard, which will allow offering the users, in particular, citizens and tax payers, favorable services, service, permanently oriented towards the users’ demands, where the level of the achieved objectives and quality, as well as the assessment of the used resources will be utilized. The basic task of the work is to describe the project progress, which shall go through all mandatory phases – life cycles of services. Methodologies, used on all stages of the project progress is reviewed, automated processes of this system and the capabilities of the system, the instrument used for creation of this system is considered in the work.

Theoretical and practical value. Theoretical and practical results, obtained in the thesis work, are used for solving the tasks of elaboration and introduction of electronic applications system, where the main focus is made on achievement of the goals of strategic vision, analysis of key indicators of efficiency and resources, spent for achievement of these goals.

შინაარსი

შესავალი.....	18
I შემოსავლების სამსახურის საბაჟო და საგადასახადო ბიზნეს პროცესების კვლევა და IT პროექტის დაგეგმვის და მიმდინარეობის ეტაპები.....	22
1.1. შემოსავლების სამსახურის ბიზნეს პროცესების კვლევა და შედეგები..	22
1.2. პროექტის ინიცირება, გამოყენებული მეთოდოლოგია და პროექტის მიმდინარეობის ფაზები	26
1.3. პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში როლების განსაზღვრა და მათი გადანაწილება.....	33
II შემოსავლების სამსახურის ავტომატიზაციას დაქვემდებარებული პროცესების კვლევა და მიღწეული შედეგები	38
2.1. ელექტრონული მომსახურების სერვისის მიზანი და სამიზნე ჯგუფი.....	38
2.2. მომსახურების ელექტრონული სერვისის დანერგვამდე არსებული პროცესების კვლევა	39
2.3. მონაცემების გაცვლის პროცესი ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვამდე	45
2.4. რეფორმების ჩატარების აუცილებლობა და მომსახურების გამარტივების წინაპირობები	46
2.4.1. საკანონმდებლო ცვლილებები	47
2.4.2. ინფრასტრუქტურის ცვლილება / განვითარება	47
2.4.3. ორგანიზაციულ სტრუქტურული ცვლილებები.....	58
2.5. მომსახურების სერვისის დანერგვით მიღწეული შედეგი	56
III შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სერვისების პროცესის აღწერა, სისტემის შესაძლებლობები	69
3.1 ელექტრონული სერვისის ზოგადი მიმოხილვა	69

3.2	სისტემაში დაშვება და უსაფრთხოება.....	80
3.3	სისტემაში ორგანიზებული მოდულები.....	84
3.3.1	მომხმარებლის პირადი გვერდი.....	84
3.3.2	დეკლარირების მოდული.....	87
3.3.3.	საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოდული.....	97
3.3.4.	ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოდული.....	104
3.3.5.	სასაქონლო ზედნადების მოდული.....	106
IV	სისტემის ტექნიკური გადაწყვეტა.....	112
4.1.	ORACLE მონაცემთა ბაზის საერთო მიმოხილვა.....	112
4.2.	ინტერნეტ აპლიკაციისათვის გამოყენებული ტექნოლოგია.....	117
4.3.	ელექტრონული დეკლარირების მოდული.....	119
4.3.1.	ელექტრონული დეკლარირების პროექტის ტექნიკური აღწერა.....	119
4.3.2.	ობიექტის გენერაცია.....	121
4.3.3.	კონტროლების გენერაცია.....	125
4.3.4.	გრიდის გენერირება.....	126
	დასკვნა	129
	გამოყენებული ლიტერატურა	133

ნახაზების ნუსხა

1. ნახაზი №1 ITIL-ის სასიცოცხლო ციკლი.....	29
2. ნახაზი №2 მომსახურების ციკლი MOF მეთოდოლოგიის მიხედვით	33
3. ნახაზი №3 პროექტის მიმდინარეობის სტანდარტული პროცესი	37
4. ნახაზი №4 ელექტრონულ დეკლარირებამდე არსებული პროცესი	44
5. ნახაზი №5 რეფორმამდე არსებული სისტემის სქემა	46
6. ნახაზი №6 მონაცემთა ცენტრების ზოგადი სქემა	50
7. ნახაზი №7 სისტემების ზოგადი სქემა	51
8. ნახაზი №8 სერვისის მომხმარებელთა რეგისტრაციის დინამიკა თვეების მიხედვით	61
9. ნახაზი №9 სერვისის მომხმარებელთა რეგისტრაციის დინამიკა წლების მიხედვით	61
10. ნახაზი №10 ყოველთვიური დეკლარაციების ჩაბარების დინამიკა წლების ჭრილში თვეების მიხედვით	63
11. ნახაზი №11 წლიური დეკლარაციების დინამიკა წლებში	64
12. ნახაზი №12 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების წარმოების დინამიკა თვეების მიხედვით წლების ჭრილში	66
13. ნახაზი №13 ნსა-ფაქტურის წარმოების დიაგრამა წლების ჭრილში თვეების მიხედვით	68
14. ნახაზი №14 ელექტრონული სასაქონლო ზედნადებების სერვისის გამოყენების დინამიკა	68
15. ნახაზი №15 საფოსტო გადამზიდავის პორტალის ფუნქციონალური დიაგრამა	70
16. ნახაზი №16 TAX FREE დღგ-ს თანხის უკან დაბრუნების სერვისის დიაგრამა	72
17. ნახაზი №17 ელექტრონული დეკლარირების პროცესუალური დიაგრამა	74

18. ნახაზი №18 განცხადების მართვის პროცესის დიაგრამა	79
19. ნახაზი №19 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის პროცესუალური დიაგრამა	101
20. ნახაზი №20 ელექტრონული სასაქონლო ზედნადების პროცესუალური დიაგრამა	110
21. ნახაზი №21 გვერდის გამოძახების სქემა.....	120
22. ნახაზი №22 ობიექტის გენერირება	121
23. ნახაზი №23 ობიექტების მონაცემების შენახვა	123
24. ნახაზი №24 გრიდკონტროლის გენერირება	126
25. ნახაზი №25 სტანდარტული კონტროლების გენერირება	128

ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი №1 სერვისის მომხმარებლების რეგისტრაციის დინამიკა
წლების მიხედვით თვეების ჭრილში 60
2. ცხრილი №2 წარმოდგენილი დეკლარაციების დინამიკა
წლების/თვეების მიხედვით 62
3. ცხრილი №3 წლიური დეკლარაციების წარდგენის დინამიკა 64
4. ცხრილი №4 საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურების რაოდენობა წლების
ჭრილში თვეების მიხედვით 65
5. ცხრილი №5 ნავთობის სპეც. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის
წარმოების დინამიკა წლების ჭრილში თვეების მიხედვით 65
6. ცხრილი №6 ყოველთვიურად წარსადგენი დეკლარაციების ვერსიები
..... 91
7. ცხრილი №7 ყოველწლიურად წარსადგენი დეკლარაციების ვერსიები
..... 92
8. ცხრილი №8 ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების
სერიის ნომენკლატურა 100
9. ცხრილი №9 ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების საქონლის
ნომენკლატურა 107

სურათების ნუსხა

1. სურათი №1 სისტემის მონიტორინგი	56
2. სურათი №2 სისტემის მონიტორინგის გამოხატვა დიაგრამით	57
3. სურათი №3 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მოდული	100
4. სურათი №4 გაგზავნილი ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნა	105
5. სურათი №5 ORACLE სერვერის სტრუქტურა	115

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურა და მათი განმარტება

IT (Information Technologies) - საინფორმაციო ტექნოლოგიები;

ISO (International Organisation from Standardization) - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სტანდარტის მიმღები ორგანო;

ITIL (IT Infrastructure Library) - საინფორმაციო ტექნოლოგიების საუკეთესო პრაქტიკების ბიბლიოთეკა, სადაც აღწერილია, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომსახურების გამწევი კომპანიების და სტრუქტურული ქვედანაყოფების სამუშაოს ორგანიზების საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილებები;

MOF (Microsoft Operations Framework) – IT ინფრასტრუქტურის, პროცესების და ამოცანების მართვის მეთოდოლოგია, იგი მოიცავს საუკეთესო პრაქტიკებს, პრინციპებს და მართვის მოდულებს.

ITSM (IT Service Management) – IT მომსახურების მართვის მეთოდი, რომელიც მიმართულია ბიზნესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

SSL (Secure Sockets Layer) - სექტორების დაცულობის დონე - კრიპტოგრაფიული პროტოკოლი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის უსაფრთხოებას. აუტენტიფიკაციის დროს, აუტენტიფიკაციის შეტყობინებების მთლიანობისთვის, იყენებს გასაღებების გაცვლის ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიას, სიმეტრიულ დაშიფრვას კონფიდენციალურობის დასაცავად;

მადლიერება

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელს ქალბატონ თინათინ კაიშაურს, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. შესაძლებელი გახდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კუთხის ურთიერთდაკავშირება და სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარება. ეს კი უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრებაზე; ხელს უწყობს ადამიანების მიერ ახალი ტიპის გაერთიანებების, ასოციაციების შექმნას ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე, რაც, ახლო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად შეცვლის სახელმწიფოთა მართვისა და მოწყობის პრინციპებსა თუ შინაარსს.

ტექნოლოგიურმა ძვრებმა შეცვალა არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების სოციალური შემადგენლობაც, რამაც ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების უპრეცედენტო ზრდის შედეგია ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება დასავლეთის სახელმწიფოებში.

ციფრული დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ელექტრონული მმართველობაა. მას დასავლეთში უწოდებენ “Electronic government, E-government”. ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტების მდგომარეობის, კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები. ეს კი უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვის საქმეში. სპეციალისტთა აზრით, “ელექტრონულ მმართველობას სახელმწიფო სექტორის ტრანსფორმაციის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია”. ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო: რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და ამასთან გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ჰუმანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგიონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა; აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წარმოებას და მოქალაქეთა მომსახურებას.

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მოთხოვნებზე რეაგირების საერთო სურათი რადიკალურად შეცვალა. ციფრული რევოლუციის მრავალ დადებით შედეგს შორის განსაკუთრებული ადგილი ელექტრონული მმართველობის ჩამოყალიბებას უჭირავს. აღნიშნული შესაძლებლობა მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან ბიზნესის და მოქალაქეების საჭიროებების ეფექტიანად და დროულად დაკმაყოფილებისათვის, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების კიდევ უფრო აქტიურად განვითარებას.

ზოგადად ელექტრონული მმართველობა არის სახელმწიფოს ნება, გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები, რათა მთავრობის მომსახურება გახადოს უფრო ეფექტიანი, მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი.

ელექტრონული მმართველობა მოიცავს:

- სამთავრობო ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას;
- მოქალაქეობის ჩართულობას, სახელმწიფო მოხელეებთან უშუალო კონტაქტის გზით;
- მთავრობის ინფორმაციულ გახსნილობას, მისი საქმიანობის მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოჩენის გზით;
- ინტერაქტიულობას, რაც ხსნის საზღვრებს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლების მოსახლეობისათვის და აძლევს მათ თანაბარ შესაძლებლობას ონლაინ რეჟიმში მიიღონ სამთავრობო მომსახურებები, რაც ზოგავს მათ დროსა და ფინანსებს.

ელექტრონული მმართველობა უპირველეს ყოვლისა არის პროცესი, რომელიც მოითხოვს დეტალურ დაგეგმვას, საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების გონივრულად გამოყენებას და პოლიტიკურ ნებას. ელექტრონული მმართველობა ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობისათვის ქმნის ახალ თანამედროვე პლატფორმას და საშუალებას აძლევს სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეს დაუკავშირდნენ ერთმანეთს თანაბარ პირობებში, განურჩევლად მათი დემოგრაფიული გადანაწილებისა.

ელექტრონული მმართველობის განვითარებისთვის განხორციელებული პროექტების შედეგად საქართველო დაფიქსირდა წინსვლის მზარდი დინამიკით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მომსახურების საერთაშორისო რეიტინგებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2014 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევის მიხედვით, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, საქართველომ ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი 16 ერთეულით გაიუმჯობესა და 193 ქვეყანას შორის 72 ადგილიდან 56-ე ადგილზე გადაინაცვლა. არსებული მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა რეგიონის ლიდერია და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორცაა თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და უკრაინა.

სახელმწიფო სახსრების ფინანსური მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას. სახელმწიფო სახსრების ეფექტური ფინანსური მართვა ემსახურება ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებას.

ამ სტრატეგიის ნაწილია მიმდინარე საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის და კანონმდებლობის რეფორმის დასრულება და შემოსავლების მართვის რეფორმის შემდგომი გამყარება და განვითარება. ეს გულისხმობს საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გამარტივებას, გადამხელთა მომსახურების, საგადასახადო აუდიტის, საბაჟო კონტროლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას და ინსტიტუციონალურ განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში გააძლიერებს და ეფექტურს გახდის საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციას.

ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაინტერესებულ მხარეს ბიზნეს სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთობა განისაზღვრება საგადასახადო ადმინისტრირებით, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემით, სახელმწიფო ასევე აღრიცხავს და აკონტროლებს ბიზნესის ქონებას, ბიზნესში ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობას და სხვა.

სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის მუდმივი და აქტიურის ურთიერთობა წარმატებული მმართველობის, ჯანსაღი და კონკურენტული ბიზნეს გარემოს უმთავრესი წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონულ მმართველობაში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მიერ ბიზნესისთვის შეთავაზებულ ელექტრონულ სერვისებს.

ელექტრონული სერვისების არსებობა, საშუალებას აძლევს მოქალაქეებსა და ბიზნესს ისარგებლონ სახელმწიფო მომსახურების ფართო

სპექტრით. მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს მომსახურება მაქსიმალური კომფორტით და მინიმალური დანახარჯით.

დღეისათვის სახელმწიფო სექტორისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მომხმარებლისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდება სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, ერთი ფანჯრის პრინციპით. ელექტრონული სერვისების გამოყენებით მომხმარებელი თავისუფლდება სახელმწიფო დაწესებულებაში მისვლისა და რიგში დგომის აუცილებლობისაგან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტული მომსახურებისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ სამუშაო საათებშია ხელმისაწვდომი, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა 24 საათი, კვირაში 7 დრე რეჟიმშია შესაძლებელი.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, თვალსაჩინო ხდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სერვისების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო და გამჭვირვალე საგადასახადო სისტემის შექმნას და მხარდაჭერას, გადასახადის გადამხდელებისათვის მაღალკვალიფიციურ მომსახურებასა და კონსულტაციის შეთავაზებას.

სახელმწიფო ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება საგადასახადო აგენტებისთვის და მოსახლეობისთვის ელექტრონული ფორმებით შეთავაზებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულება. სწორედ ასეთი სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისები, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებად სერვისს სახელმწიფო უწყებების მიერ შეთავაზებული სერვისებიდან.

თავი I. შემოსავლების სამსახურის საბაჟო და საგადასახადო ბიზნეს პროცესების კვლევა და IT პროექტის დაგეგმვის და მიმდინარეობის ეტაპები

1.1. შემოსავლების სამსახურის ბიზნეს პროცესების კვლევა და შედეგები

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სერვისების შემუშავებისთვის საჭირო გახდა სამსახურში არსებული პროცესების, საკანონმდებლო მასალების შესწავლა, ასევე გამოკვლევა და გათვალისწინება მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა აღნიშნულ სფეროში, შედეგად დადგენა თუ რა პროცესების დანერგვა ან ცვლილება უნდა განხორციელდეს ავტომატიზაციის შედეგის მისაღწევად.

ყოველივე ამის დასადგენად, სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ შესწავლილია სხვა ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები და ანგარიშები, შესწავლილია თითოეული პროცესის ფუნქციონალური სპეციფიკაცია და მათი შესაბამისობა დასმულ მოთხოვნებთან. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი უშუალოდ მონაწილეობას იღებდა პროექტის დაგეგმვაში, წარმოშობილი სირთულეების დაძლევაში, სისტემის ფუნქციონალის და ტექნიკური დავალების შემუშავებაში, პროექტის მენეჯერებთან ერთად აკონტროლებდა დაგეგმილ ვადებს და შესრულების ხარისხს. პროექტზე მუშაობისას შემოსავლების სამსახურის IT ანალიტიკოსებს დახმარებას უწევდნენ USAID-ის „ბიზნეს გარემოს რეფორმის პროექტის“ ექსპერტები.

შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „შემოსავლების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, „საჯარო

სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებით, და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სამსახურის ძირითად ფუნქციებს და უფლებამოსილებებს წარმოადგენს: ა) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს; ბ) ახორციელებს გადასახადების/გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირებას; გ) ახორციელებს საგადასახადო კონტროლს, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან და საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო კონტროლს და სახელმწიფო ზედამხედველობას, სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს, არასატარიფო ღონისძიებებს; დ) უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებას; ე) იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე; ვ) საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გასატან საქონელზე გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს; ზ) გასცემს ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატს; თ) ახორციელებს საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენას, საქონლის საბაზრო ღირებულების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქონლის სატარიფო ღირებულების განსაზღვრას; ი) მონაწილეობს გადასახადით/გადასახდელით დაბეგვრასთან, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებასა და კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში; კ)

გამოსცემს წინასწარ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე; ლ) განიხილავს საჩივრებს და მონაწილეობს სასამართლოში საქმეთა განხილვაში; მ) თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ნ) იღებს გადაწყვეტილებებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების თაობაზე და ახორციელებს სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს; ო) იხილავს საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას; პ) უზრუნველყოფს სამართალდარღვევების გამოვლენას, სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, სამართალდარღვევის საქმეების განხილვას და შესაბამის რეაგირებას; ჟ) შეიმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად; რ) ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული კორესპონდენციის მიღებას, შესაბამის რეაგირებასა და შენახვას; ს) ასრულებს საგადასახადო სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების შუამდგომლობას; ტ) ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, ასევე სასაქონლო ოპერაციებთან დაკავშირებულ მომსახურებას; უ) უზრუნველყოფს გზათსარგებლობის საფასურის ადმინისტრირებას; ფ) უზრუნველყოფს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების შემუშავებელი კომისიის მიერ შემუშავებული საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა

ტექნიკური ნორმების დადგენას; ე) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

ზემო ჩამოთვლილი ფუნქციებიდან შესწავლილი იქნა იმ პროცესების ერთობლიობა, რომელიც გავლენას მოახდენდა ელექტრონული მომსახურების პორტალის შექმნაზე. განხორციელდა არსებული პროცესების დაყოფა, თანმიმდევრობის განსაზღვრა და ფუნქციების გამიჯვნა.

შედეგად განისაზღვრა პროცესების ერთობლიობა, რომელიც შემდგომში ეტაპობრივად განხორციელებული და დანერგილი იქნა, გადასახადის გადამხდელის პორტალზე. აღსანიშნავია, რომ პროცესების ავტომატიზაციამ გამოიწვია ბიზნეს ლოგიკის ცვლილება, გამარტივება, ასევე საჭირო გახდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო გახდა IT პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება, რადგან პროექტის წარმატება მთლიანად დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ გაწეულ სამსახურზე. IT პროექტების განხორციელება, მსოფლიოში მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით, პროექტზე მუშაობისას არჩეული იქნა ITIL პრაქტიკაზე დაფუძნებული MOF მეთოდოლოგია.

დისერტაციის საგანზე მუშაობისას შესწავლილი იქნა სხვა ქვეყნებში არსებული ელექტრონული მომსახურების პრაქტიკა და გამოცდილება. კვლევამ ცხადყო, რომ რიგი ქვეყნები ფართოდ სთავაზობენ გადასახადის გადამხდელს ელექტრონულ სერვისებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენება ხშირ შემთხვევაში არცთუ ისე მასიურია, მომხმარებლების უმრავლესობა უფრო მეტად სარგებლობს ელექტრონული დოკუმენტის (ფაილის სახით) წარდგენით ან ელექტრონული მიმოწერის მომსახურებებით, უფრო იშვიათად ელექტრონული ფორმის დეკლარირებით. ელექტრონული დეკლარირების განვითარების კუთხით აღსანიშნავია ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება. აღნიშნულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება

ელექტრონული მომსახურების პრაქტიკა, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა მთლიანად მოიცავს სახელმწიფო სექტორს და კომერციულ ბანკებს. რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ერთი ელექტრონული მომხმარებლის გამოყენებით მიიღოს სხვადასხვა სახელმწიფო სექტორის მომსახურება, განახორციელოს საბანკო ოპერაციები და სხვა.

მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ დიდი როლი ითამაშა შემოსავლების სამსახურში დღეს არსებულ ელექტრონული მომსახურების პორტალის განვითარებაში.

1.2. პროექტის ინიცირება, გამოყენებული მეთოდოლოგია და პროექტის მიმდინარეობის ფაზები

აღნიშნული პროექტი დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა მომსახურების დეპარტამენტის მიერ, გადასახადის გადამხდელებთან მომსახურების გაწევის ნაწილში, არსებული პროცესების მიმდინარეობის ავტომატიზაციის მოთხოვნით. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს, ახორციელებს გადასახადების /გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირებას, ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, შემოსავლებისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გადასახადის გადამხდელთათვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დახმარების ადგილზე გაწევას, დაინტერესებული პირისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, საბიუჯეტო შემოსულობების დამუშავებას გადასახადის სახეების, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის, აგრეთვე საბაჟო, საგადასახადო და სხვა შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას და ა.შ.

მოთხოვნილი პროცესების ავტომატიზაციის საკითხებში საჭირო გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ჩართვა, რომლის ძირითადი ამოცანაა მთლიანად შემოსავლების სამსახურის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა, რაც გულისხმობს საინფორმაციო სისტემების შემუშავებას, ახალი პროგრამული პროდუქტების და სერვისების პროექტირებას, მომზადებას და მართვას. საინფორმაციო სისტემებითა და კომპიუტერული სამომხმარებლო პროგრამებით სამსახურის უზრუნველყოფას, მომხმარებლებისათვის ტრენინგების ორგანიზებას და სათანადო კონსულტაციების გაწევას.

როგორც წესი საინფორმაციო ტექნოლოგიური პროექტი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: კონცეფციის შემუშავება, დაგეგმვა, ანალიტიკა, პროგრამირება, ტესტირება, დანერგვა და შემდგომში მუდმივი გაუმჯობესება.

წარმატება დიდ წილად დამოკიდებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებაზე და მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, რომლებიც პასუხობენ დამკვეთის მოთხოვნებს და მოლოდინს. ხშირად, დიდი დრო და ფინანსები ეთმობა ბიზნეს აპლიკაციების მომზადებას და არა მისი მომსახურების მხარდაჭერას. სერვისების მხარდაჭერა გვამლევს გარანტიას, რომ სერვისის ხელმისაწვდომობა მომხმარებლებისთვის იქნება მაღალი.

საერთაშორისო გამოცდილებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, სერვისების მხარდაჭერას უნდა ეთმობოდეს ფინანსების 70-80%, ხოლო შექმნას ან შეძენას და დანერგვას 20-30%. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დღეს ბევრი კომპანიის ხელმძღვანელი არ არის კმაყოფილი თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხით. ამისთვის ბევრი მიზეზია. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება მიმდინარე პროექტების დასრულება ვადების დარღვევით და არასაკმარისია გამოყოფილი თანხის ოდენობა. ასევე პრობლემურია პროექტის


დასრულების შემდეგ სისტემის მხარდაჭერა და ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება მოქმედ სისტემაში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნული საკითხების დარეგულირებას და გადაწყვეტას სჭირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებთან სტრუქტურირებული მიდგომა, რაც ეფექტურს და რაციონალურს გახდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციონირებას. ასეთ მიდგომას ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მართვა ჰქვია (ITSM- IT Service Management) და მისი ძირითადი პრინციპია განიხილოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურები/დანაყოფები, როგორც მომხმარებლის მოთხოვნებზე მუდმივად ორიენტირებული სამსახური, სადაც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მიღწეული მიზნების და ხარისხის დონე, ისე გამოყენებული რესურსების შეფასება. ეს პრინციპი გამოიყენება ნებისმიერი მასშტაბის კომპანიებში. ასევე უნდა აღინიშნოს საერთაშორისო პრაქტიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში წარმატებული კომპანიების გამოცდილებების ბიბლიოთეკა ITIL, რომელიც განსაზღვრავს მიზნებს და საქმიანობებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მართვის ყოველი პროცესის პარამეტრებს.

აღნიშნულ ბიბლიოთეკაში ITIL აღწერილია კომპანიებში გამოყენებული სამუშაოს-პროექტის ორგანიზების საუკეთესო პრაქტიკა. ბიბლიოთეკაში გამოყენებულია პროცესუალური მიდგომა, სადაც ძირითადი აქცენტი მიმართულია კომპანიის მიზნების მიღწევაზე, ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების ანალიზსა და რესურსებზე, რომლებიც დაიხარჯა ამ მიზნების მისაღწევად. სერვისების სასიცოცხლო ციკლი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- სერვისების სტრატეგია;
- სერვისების დაპროექტება;
- სერვისების დანერგვა;
- სერვისების გამოყენება;

- სერვისების მუდმივი გაუმჯობესება / განვითარება.



ნახაზი №1 ITIL-ის სასიცოცხლო ციკლი

სერვისების სტრატეგია - გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას, განსაზღვრავს სტანდარტებს, მეთოდოლოგიებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მომავალში ახალი სერვისების დაგეგმვის დროს. სერვისების სტრატეგიაში ასევე განიხილება სტრატეგიის შემუშავება, სერვისების პორტფელის მართვა, სერვისების მიმართ ტექნიკური მოთხოვნები, ასევე განხილულია ფინანსების მართვის ნაწილიც. სერვისების მართვის სტრატეგიის მიზანია გააუმჯობესოს სტრატეგიული შემადგენლობები სერვისის დაპროექტების, განხორციელების, სერვისის დაწესების და გაუმჯობესების ხარჯზე. განიხილება როგორც აქტივი და შესაძლებლობები. სერვისის სტრატეგია იკვლევს და განსაზღვრავს რამდენად შესაბამისობაშია

მოთხოვნები IT სტრატეგიასთან. სერვისების სტრატეგიის ამოცანაა შექმნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიების, პროცესების განვითარებას. სერვისების სტრატეგია მოიცავს შემდეგ პროცესებს: სტრატეგიის შემუშავების პროცესი, სერვისების პორტფელის მართვის პროცესი, მომხმარებლის მოთხოვნების მართვის პროცესი, IT ფინანსების მართვის პროცესი.

სერვისების დაპროექტება გულისხმობს შემუშავებული იქნას IT სერვისი, განსაზღვრული იქნას მისი არქიტექტურა, პროცესები, უსაფრთხოება, პოლიტიკა, დოკუმენტაცია, შესწავლილი და შემუშავებული იქნას თვითონ სერვისი. მისი ძირითადი მიზანია შეიქმნას სერვისის რეალისტური კონტური სერვისის მიწოდების დონის პოლიტიკის, არქიტექტურის, არჩეული ტექნოლოგიის, პროცესის შემუშავების მეშვეობით. უზრუნველყოს საფუძველი არსებული და დამოკიდებული სერვისებისთვის, პროცესებისთვის. უზრუნველყოს მხარდაჭერა და გაზარდოს სერვისის მნიშვნელობა დამკვეთისათვის. პასუხისმგებელია სერვისის ან ინფრასტრუქტურის შექმნაზე ან ცვლილებაზე დამკვეთის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სერვისების დაპროექტება მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- სერვისების კატალოგის მართვის პროცესი;
- სერვისების მიწოდების დონის მართვის პროცესი;
- სერვისების წარმადობის მართვის პროცესი;
- სერვისების წვდომის მართვის პროცესი;
- სერვისების უწყვეტობის მართვის პროცესი;
- სერვისების უსაფრთხოების მართვის პროცესი;
- სერვისების მომწოდებლების მართვის პროცესი.

სერვისების დანერგვა გულისხმობს სერვისის მომზადებას დანერგვისთვის, ტესტირების განხორციელებას და მოქმედ სივრცეში მოთავსებას. სერვისების მომზადებას მომხმარებლის მოთხოვნებთან

შესაბამისობაში. სერვისის მიზანია მართოს მომხმარებლის მოთხოვნები და მოლოდინი, ცვლილებებთან დაკავშირებული ინციდენტების შემცირება და შესაბამისად სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

სერვისების დანერგვის პროცესი პასუხისმგებელია ახალი სერვისების ან ცვლილებების დანერგვაზე მუშა გარემოში. სერვისების დანერგვა მოიცავს შემდეგ პროცესებს: ცვლილებების დაგეგმვის და მხარდაჭერის მართვის პროცესი, ცვლილებების მართვის პროცესი, აქტივების და კონფიგურაციების მართვის პროცესი, დანერგვის და სისტემის გაშლის მართვის პროცესი, ტესტირების განხორციელების პროცესი, შეფასების პროცესი, შეძენილი გამოცდილების და ცოდნის მართვის პროცესი.

სერვისების გამოყენების პროცესში ხდება ბალანსის მიღწევა შენარჩუნება სერვისის მომხმარებლებსა და სერვისის მხარდაჭერას შორის, რაც უზრუნველყოფს სერვისების მდგრად მუშაობას. მისი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს ეფექტური გამოხმაურება მომართვაზე და სერვისის სტაბილური მუშაობა. უზრუნველყოს სწრაფი რეაგირება ინციდენტზე. ძირითადი ამოცანაა შეთავაზებული სერვისი მართოს შეთანხმებული ხარისხის დონის მიხედვით. შეასრულოს პროცესის ყოველდღიური ოპერაციები. ხელი შეუწყოს სერვისების განვითარებას. სერვისების გამოყენება პასუხისმგებელია სერვისების მიწოდების ეფექტურობაზე და შედეგზე, სტაბილურობის მხარდაჭერაზე. სერვისების გამოყენება მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- მოვლენების მართვის პროცესი;
- ინციდენტების მართვის პროცესი;
- მომართვების მართვის პროცესი;
- პრობლემების მართვის პროცესი;
- დაშვებების მართვის პროცესი.

სერვისების მუდმივი გაუმჯობესება განვითარება გულისხმობს არსებული შეთავაზებული სერვისების მუშაობის განვითარებას, დაკვირვებას

და გამოსწორებას. კონტროლს მომხმარებლის მოთხოვნებთან სერვისის მიწოდების შესაბამისობას. ამ სტადიაში ხდება ყველა სტადიის პერიოდული გადამოწმება და რეკომენდაციების მომზადება პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მიწოდებული სერვისის მიწოდების ხარისხის შემოწმება.


სერვისების მუდმივი გაუმჯობესება პასუხისმგებელია მომხმარებლისთვის შექმნას მუდმივად მნიშვნელოვანი ხარისხიანი სერვისი ორიენტირებული მომხმარებელზე. სერვისების მუდმივი გაუმჯობესება მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- სერვისების მიწოდების ხარისხის გაზომვის პროცესი;
- სერვისების მუშაობის შესახებ ანგარიშგების მიწოდების პროცესი;
- სერვისების გაუმჯობესების მართვის პროცესი.

პროექტმა თუ გაიარა ყველა ეს ციკლი, ის აუცილებლად წარმატებული იქნება. ამ პროექტის ფარგლებში დაინერგა პროცესუალური მიდგომა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების და მათ შორის ელექტრონული სერვისის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპებია (ფაზები) - ხედვის იდეის ჩამოყალიბება, დაგეგმვა, სამომავლო ხედვის ანალიზი, სისტემის პილოტირება, ჩართული დაინტერესებული მხარეების ტრენინგები, სერვისის ამოქმედების გრაფიკის შემუშავება და სხვა. როგორც წესი IT პროექტი შედგება შემდეგი ძირითადი ფაზებისგან: დაგეგმვა - რაც გულისხმობს მოთხოვნის ინიციატორის და IT სამსახურის ურთიერთქმედებას, პოლიტიკებს, წვდომას და ფინანსურ მენეჯმენტს. დანერგვა - გულისხმობს კონცეფციის შემუშავებას და დეტალური გეგმის მომზადება/დამტკიცებას, ამოცანის შესწავლა - ანალიტიკას; სისტემის შემუშავება - პროგრამირებას, ტესტირება - სისტემის სტაბილიზაციის შემოწმებას; მხარდაჭერა გულისხმობს მომხმარებელთა და დამკვეთთა მომსახურებას, სწავლებას/ტრენინგს და ინცინდენტებზე რეაგირებას.

თითოეული პროექტის იტერაცია გადის ყველა ზემოთ აღწერილ ფაზას. ნახაზზე ნაჩვენებია თითოეული ფაზის ეტაპები.



ნახაზი №2 მომსახურების ციკლი MOF მეთოდოლოგიის მიხედვით

ზემოთ ხსენებული პროცესების და მეთოდოლოგიის გამოყენებით იქნა დაგეგმილი შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სისტემის შექმნა და დანერგვა.

1.3 პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში როლების განსაზღვრა და მათი გადანაწილება

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში შექმნილია პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველო, პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო, ტექნიკური მხარდაჭერის სამმართველო, სისტემური ადმინისტრირების სამმართველო. სამმართველოს უფროსები და ცენტრის ხელმძღვანელობა მუშაობს ცენტრის სტრატეგიის შემუშავების

საკითხებზე, რომლებიც შემოსავლების სამსახურის და შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიის ნაწილია. ორგანიზაციული სტრუქტურის თანამშრომლები ასრულებენ როლებს ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების მიხედვით მიმდინარე პროექტებში განაწილების პრინციპით

პროექტის ფარგლებში, შესასრულებელი სამუშაოებისთვის, პირველ ეტაპზე გამოიყო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მკვეთრად განისაზღვრა მონაწილეთა როლები. სამუშაო ჯგუფის მონაწილედ განისაზღვრა შემდეგი როლები: პროექტის მენეჯერი დამკვეთის მხრიდან და კონსულტანტი; შემსრულებლის მხრიდან პროდუქტის მენეჯერი; ანალიტიკოსი; დეველოპერები; ტესტერი და დანერგვა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირები.

ბიზნეს ანალიტიკოსი - ეს არის სპეციალისტი, რომელიც იკვლევს დამკვეთის პრობლემებს, ეძებს გადაწყვეტის გზებს და აფორმებს მის კონცეფციას მოთხოვნების ფორმით, რომელზეც შემდგომში, პროდუქტის შექმნისას, აიღებს ორიენტირს დეველოპერი.

ანალიტიკოსის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გამოავლინოს ბიზნესის, დამკვეთის პრობლემები და მოძებნოს გადაწყვეტის მაქსიმალურად ეფექტური გზები. ამისათვის, მას უნდა ჰქონდეს გარკვეულ ცოდნა, დამკვეთი ბიზნესის კონკრეტულ სფეროში. ბიზნეს ანალიტიკოსი მუშაობს მოთხოვნებზე, პროექტის პროგრამული უზრუნველყოფის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, მთელი ციკლის მანძილზე და ყოველთვის გამოდის შუამავლის როლში, დამკვეთსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე მომუშავე ჯგუფს შორის.

ბიზნეს ანალიტიკოსის სამუშაო მოიცავს ისეთ ეტაპებს, როგორცაა:

1. გამოავლინოს დამკვეთის მოთხოვნები, გაიგოს პრობლემა, რისი გადაწყვეტაც დამკვეთს სურს;
2. დამოუკიდებლად ან თანამონაწილე ჯგუფთან ერთად გაუკეთოს ფორმულირება კონცეფციას და გადაწყვეტილებებს.

3. გააფორმოს კონცეფცია, ტექნიკურ დავალებად კონკრეტული მოთხოვნებით, მომავალი პროდუქტის მიმართ. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ბიზნეს ანალიზის ტექნიკები - პროცესუალურის მოდელების და სტრუქტურის აგება, მსგავსი პროტოტიპია სამომხმარებლო ინტერფეისები, გამოყენების სცენარები. ამავე დროს ხდება ზუსტი შეფასება შრომის დანახარჯის და სამუშაოს ხანგრძლივობის.
4. სპეციფიკაციის სახით განახორციელოს თითოეული მოთხოვნის დეტალიზაცია;
5. კონსულტაცია გაუწიოს პროგრამისტებს და ტესტირებს პროდუქტზე მუშაობისას, საკამათო მომენტები შეათანხმოს დამკვეთთან;

ანალიტიკოსის დავალებების ჩამონათვალს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხოვნებთან მუშაობა ქვია. ეს გულისხმობს, როგორც ურთიერთდამოკიდებულებას დამკვეთის მხრიდან დაინტერესებულ პირებთან, ასევე იმ გუნდის წევრებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტის პროგრამულ გადაწყვეტას.

გვხვდება სხვა შემთხვევებიც, როდესაც ანალიტიკოსი დამატებით ასრულებს პროექტის მენეჯერის ფუნქციას, ხარისხის კონტროლის სპეციალისტის ფუნქციას ან ტექნიკური დავალების დამწერის ფუნქციას.

დიდ პროექტებში ხანდახან განასხვავებენ ბიზნეს ანალიტიკოსის და სისტემური ანალიტიკოსის როლებს. ბიზნეს ანალიტიკოსის ვალდებულებებში შედის: გამოავლინოს ბიზნესის დამკვეთის მიზნები მოახდინოს გადაწყვეტილებების კონცეფციის ანალიზი და ფორმულირება გაუკეთოს მოთხოვნებს. სისტემური ანალიტიკოსის ვალდებულებებში შედის - მოთხოვნების ფორმალიზაცია და სპეციფიკაცია, ტექნიკური დავალების დაწერა ფუნქციონალური მოთხოვნების და პროგრამული განხორციელების დონეზე.


ანალიტიკოსის მიერ შედგენილი დოკუმენტი, უპირველეს ყოვლისა იოლად გასაგები უნდა იყოს, როგორც დამკვეთისთვის ასევე შემსრულებლისთვის. ამისათვის მნიშვნელოვანია გვესმოდეს რამდენიმე ასპექტი:

- აუცილებელია ჩამოთვლილი იქნეს ყველა მოქმედი პირი, რომელსაც მოუწევს ურთიერთობა სისტემასთან;
- ჩამოთვლილი იქნას ყველა ფუნქციონალური მოთხოვნა ფორმატში - „მოხმარების ვარიანტები“. ჩამოთვლილი იქნას ვინ და როგორ გამოიყენებს ამ სისტემას. აქ მნიშვნელოვანია დეტალიზაცია, რათა გამოყენების ვარიანტებიდან, მკითხველმა შეძლოს გარკვევა ამა თუ იმ მომხმარებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოსი. შეძლოს განსაზღვროს სისტემის კომპონენტები და მათი კავშირი ერთმანეთთან.
- საჭიროა გაკეთდეს აქცენტი არა ფუნქციონალურ მოთხოვნებზეც, ისეთი როგორცაა სისტემის დატვირთვა, მოთხოვნები სისტემის გამძლეობაზე, თუ საქმე ეხება ვებ აპლიკაციებს აუცილებელია, განისაზღვროს ბრაუზერები, რომელშიც უნდა მუშაობდეს სისტემა და რომლებშიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტესტირება.

დოკუმენტზე მუშაობისას, ანალიტიკოსი ატარებს გასაუბრებებს, კონსულტაციებს და შედეგად დოკუმენტში სქემების და მოდელების მეშვეობით აღწერს ამოცანის ტექნიკურ გადაწყვეტას, რომელსაც წარუდგენს დამკვეთს ტექნიკური და პროცესუალური დეტალების განსახილველად, დასაზუსტებლად და ახდენს დოკუმენტის კორექტირებას. ამავე ეტაპზე დამკვეთი განსაზღვრავს არსებული და დაგეგმილი ამოცანების პრიორიტეტებს.

ამის შემდეგ, პროგრამისტა ჯგუფი აფასებს ამოცანის მოცულობას და სირთულეს, განსაზღვრავს ამოცანის შესასრულებლად საჭირო დროს. დამკვეთის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით იწყება პროგრამირების პროცესი, რომელშიც აქტიურად არის ჩაბმული ანალიტიკოსიც, რომელიც ახორციელებს მუშაობის პროცესში წამოჭრილი

პრობლემური საკითხების დაზუსტებას, გადაწყვეტას. შესასრულებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ ხდება სისტემის ტესტირება, საბოლოო ტესტირება ხორციელდება დამკვეთის მხრიდან, რის შემდეგ ხდება სისტემის გაშვება. ტესტირების ამ ეტაპზე დასაშვებია ცვლილებების შესახებ მოთხოვნების ინიცირება, პროცესის ცვლილება მოითხოვს არსებული მონაცემების დაზუსტებას, კვლავ შეთანხმებას დამკვეთთან და ცვლილების განხორციელებას.



ნახაზი №3 პროექტის მიმდინარეობის სტანდარტული პროცესი

თავი II შემოსავლების სამსახურის ავტომატიზაციას დაქვემდებარებული პროცესების კვლევა და მიღწეული შედეგები

2.1. ელექტრონული მომსახურების სერვისის მიზანი და სამიზნე ჯგუფი

სერვისის მიზანს წარმოადგენდა საგადასახადო ორგანოსთან გადამხდელების ურთიერთობის გამარტივება, საგადასახადო ორგანოში გადამხდელების მომსახურების ხარისხის ამაღლება; მატერიალური, ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვა. ასევე მიზანს წარმოადგენდა დეკლარირების არსებული პროცესის გამარტივება, დეკლარირების პერიოდში საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში რიგების შემცირება და მატერიალური ფორმის დეკლარაციების და მასზე არსებული დანართების სიმრავლის შემცირება. აღნიშნული დეკლარაციების შემოწმებაზე და სისტემაში ასახვაზე იხარჯებოდა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების რესურსი და დრო. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად განისაზღვრა ინფორმაციის, მონაცემთა სისტემაში, ოპერატიულად ასახვა, რაც თავის მხრივ ანალიზის კუთხით იძლევა დიდ ეფექტს.

ელექტრონული სერვისის მიზნის ჩამოყალიბებაში პირველ ეტაპზე მონაწილეობას იღებდა საგადასახადო დეპარტამენტი და USAID “BUSINESS CLIMATE REFORM” („ბიზნეს გარემოს რეფორმა“). სერვისის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი ყველა ანგარიშვალდებული პირი: ორგანიზაცია, კომპანია, სახელმწიფო ორგანიზაცია, მეწარმე ფიზიკური პირი, სააქციო საზოგადოება ფიზიკური პირი, საფოსტო გადამზიდავები, იმპორტიორები და სხვა.

ზემო აღნიშნული სუბიექტების, საბაჟო და საგადასახადო სექტორთან, სხვადასხვა საკითხზე, მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად დაისვა საკითხი მათი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილიყო, ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა გადასახადის

გადამხდელების მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მარტივს გახდიდა სხვადასხვა ინფორმაციის მიღება/ჩაბარების პროცესს, გამორიცხავდა ადამიანურ ფაქტორს მომსახურების მიღებისას, დაზოგავდა დორს როგორც მომხმარებლისთვის ასევე მომსახურე თანამშრომლებისთვის, რადგან სისტემის უპირატესობა და მისი შექმნის პრიორიტეტად განისაზღვრა სრული ავტომატიზაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მინიმუმამდე ჩარევას მიმდინარე პროცესებში.

2.2. მომსახურების ელექტრონული სერვისის დანერგვამდე არსებული პროცესების კვლევა

ელექტრონული სერვისების დანერგვამდე, გადასახადის გადამხდელებს საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად: წლიური ანგარიშების, ყოველთვიური დეკლარაციების, მასზე თანდართული დანართების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და სხვა), სხვა სახის სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენა შეეძლოთ, მხოლოდ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რეგიონალურ საგადასახადო ინსპექციებში.

გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, მისი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, ანგარიშსწორების ვადებს, უფლებამოსილ ორგანოსა და მისი თანამდებობების პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესს და პირობებს, საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების უფლებებს, გადასახადის გადამხდელის სხვა სახის ბიუჯეტთან ურთიერთობის ვალდებულებებს არეგულირებს და განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განსაზღვრულია გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი ფორმები, განსაზღვრულია

დაბეგვრის ობიექტები, საგადასახადო პერიოდები, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისთვის გადასახადის სახეების მიხედვით შემუშავებულია დეკლარაციების ფორმები და განსაზღვრულია მათი წარდგენის და გადახდის ვადები.

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადებში, დეკლარაციის ჩასაბარებლად, გადამხდელს უწევდათ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, შესაბამის რეგიონალურ ცენტრში ხანგრძლივ რიგში დგომის და ლოდინის შემდეგ ჩაებარებინათ საგადასახადო დეკლარაცია, რაც დიდ უხერხულობას იწვევდა იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა საგადასახადო აგენტს საბუღალტრო აღრიცხვას შესაძლოა უწევდეს ერთი და იგივე პირი - ბუღალტერი, რომელსაც დეკლარირების სავადო თარიღში უწევდა სხვადასხვა რაიონულ საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლების სამსახურის ოფისებში სამუშაო დრო განსაზღვრულია სტანდარტულად, მომუშავე პერსონალს უწევდა არასამუშაო დროს განეხორციელებინა გადამხდელის მოთხოვნა დეკლარაციის მიღებაზე, რათა არ გამოეწვია გადამხდელის უკმაყოფილება და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დეკლარაციის დაგვიანებისთვის, განსაზღვრული სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობა.

დეკლარაციების შევსება და შემდგომ საგადასახადო ორგანოში წარდგენა გადამხდელის მხრიდან წარმოებდა ქალაქდურად, ხშირ შემთხვევაში დეკლარაცია შევსებული იყო ხელით, რაც იწვევდა გარკვეული სახის უზუსტობებს, იმის გათვალისწინებით, რომ დეკლარაციის ფორმა წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ველების ერთობლიობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ ველში დაშვებული შეცდომა იწვევს სხვა ველზე, და შესაბამისად დასადეკლარირებელ თანხაზე, გავლენას. შესაბამისად გადასახადის გადამხდელის მიერ შევსებული დეკლარაციის ფორმა საჭიროებდა გადამოწმებას, ხელახალ გადაანგარიშებას, და დამოწმებას გადამხდელზე მიმაგრებული (პასუხისმგებელი) ინსპექტორის მხრიდან.

დეკლარაციების და მასზე თანდართული დოკუმენტების მიღებას ახორციელებდა კანცელარია, რომელიც ხელით ჟურნალში ასახავდა დეკლარაციის წარდგენის თარიღს წარმდგენის მონაცემებს და ახორციელებდა სათანადო გატარებას. აღნიშნულ ეტაპზე დეკლარაციის სისწორის გადამოწმება არ წარმოებდა.

კანცელარიიდან მიღებული დეკლარაციები გადაეცემოდათ დაბეგვრის ინსპექტორებს, რომლებიც ვიზუალურად ახდენდნენ დეკლარაციების შიგთავსის და თანდართული დოკუმენტების გადამოწმებას, რის საფუძველზეც ანგარიშობდნენ და ადგენდნენ დეკლარაციით განსაზღვრულ დასარიცხ თანხას. გადამხდელის მიერ დეკლარაციის შევსებისასა დაშვებული უზუსტობების შემთხვევაში, დაბეგვრის ინსპექტორებს უწევდათ გადამხდელთან კონტაქტი, დეკლარაციის უზუსტობების გასწორება, აუცილებელი დოკუმენტების მოძიება და სხვა.

დეკლარირების განხორციელების სავადო თარიღებში დიდი რაოდენობის გადამხდელების ნაკადის გამო, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს უწევდათ სამუშაო დროის გაზრდა, რათა უზრუნველყოთ გადამხდელთა დიდი ნაკადის მომსახურება. ამავდროულად საგადასახადო ორგანოში გროვდებოდა დიდი ოდენობის დოკუმენტაცია, რომლის დამუშავება, შენახვა, დაცვა და მომსახურება დაკავშირებული იყო დიდი დროსა, შრომითი და ფინანსური რესურსის ხარჯვასთან.

მიღებული მონაცემების არსებულ ელექტრონულ სისტემაში ასახვისათვის, თითოეულ რეგიონალურ ცენტრში შექმნილი იყო მონაცემთა დამუშავების განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რეგიონალურ ჭრილში მიღებული მონაცემების ასახვას ერთიან საინფორმაციო სისტემაში. ამისათვის, ხორციელდებოდა გადამხდელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სორტირება, გადასახადის სახის (დამატებითი ღირებულების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; აქციზის გადასახადი; მოგების გადასახადი; ქონების გადასახადი; და სხვა) და თანდართული დოკუმენტების

(საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა; ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) მიხედვით.

აღსანიშნავია, ასევე ამ დროისთვის არსებული სისტემის მოწყობის ფაქტორიც. რეგიონალურ ცენტრებში განთავსებული იყო, ცენტრალურ სერვერთან დაკავშირებული, სერვერები, სადაც ხდებოდა მონაცემების ასახვა და დღის ბოლოს მათი ცენტრალურ სერვერზე იმპორტირება.

ხშირად, გადასახადის გადამხდელების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის (მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) დამუშავება, მონაცემთა ბაზებში მათი ასახვა, შემდგომი ანალიზისთვის ხორციელდებოდა დაგვიანებით და ადამიანური ფაქტორის გამო გამოწვეული შეცდომებით, რის გამოსასწორებლად დამატებით იხარჯებოდა შრომითი და ფინანსური რესურსი. აღნიშნული უზუსტობები ასევე ხელს უშლიდა ბიზნეს მათი საქმიანობის განხორციელებაში.

კერძოდ, კი არასწორად აღრიცხული მონაცემების ხარჯზე, ხდებოდა ბიზნესის დაჯარიმება, საგადასახადო ღონისძიებების გატარება, როგორცაა საინკასო დავალებები, ქონების დაყადაღება და სხვა.


დეკლარაციებთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების (საგადასახადო ა/ფაქტურები და სხვა) სიმრავლე განაპირობებდა მონაცემების დამუშავების დროის ხანგრძლივობას, არ არსებობდა, კანონით გათვალისწინებული, კონტროლის მექანიზმი დეკლარაცასა და თანდართულ დოკუმენტებს შორის. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ინფორმაციის ასახვა ხორციელდებოდა დაგვიანებით, რაც ხელს უშლიდა საგადასახადო მონიტორინგის დროულად განხორციელებას და რეალური სურათის ანალიზისთვის საჭირო მასალების არარსებობას რეალურ დროში.

აღსანიშნავია, ასევე მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების აღრიცხვის პროცესიც. თავდაპირველად აღნიშნული დოკუმენტების ბეჭდვას და გაცემას უზრუნველყოფდა საგადასახადო ორგანო. საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა, აღნიშნული დოკუმენტების გადაცემა რაიონულ

ცენტრებში სპეციალურად გამოყოფილი განყოფილებებისთვის. რომლებით თავის მხრივ უზრუნველყოფდნენ გადასახადის გადამხდელებზე, მათი მოთხოვნების მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტების გაცემას. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გახლდათ, თანამშრომლებს გადასახადის გადამხდელთან ერთად უწევდათ საკმაოდ დიდი დორის და ენერჯის დახარჯვა, კერძოდ გადასახადის გადამხდელზე ა/ფაქტურის და ნავთობის სპეციალური საგადასახადო ა/ფაქტურის გაცემა წარმოებდა მხოლოდ, მინდობილობის საფუძველზე. აუცილებლად ხდებოდა თითოეული დოკუმენტის სველი ბეჭედით დამოწმება, ხდებოდა დოკუმენტების გადათვლა, მათი ასახვა სპეციალურ ჟურნალებში და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, დღეს გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს და საქონლის/მომსახურების მიმღებს წარუდგინოს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას, ხოლო მიმღები პირისთვის ის წარმოადგენს დღგ-ს თანხის ჩათვლის დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი ივსებოდა ოთხ ეგზემპლიარად: ა/ფაქტურის პირველი პირი რჩებოდა დოკუმენტის გამომწერ გამომწერი ორგანიზაციას და მესამე პირს ის წარადგენდა საგადასახადო ორგანოში, დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციის დანართად დასაბეგრი თანხის ჩვენებისთვის, ხოლო ა/ფაქტურის მეორე პირი რჩებოდა საქონლის ან/და მომსახურების მიმღებ პირს და მეოთხე პირს ის წარადგენდა საგადასახადო ორგანოში, დღგ-ს თანხის ჩათვლის მოთხოვნით, რომელიც ასევე წარმოადგენს დღგ-ს დეკლარაციის დანართს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღგ-ს დეკლარაციის წარდგენა დღგ-ს გადამხდელებისთვის არის სავალდებულო ყოველთვიურად, ძნელი წარმოსადგენი არაა რა რაოდენობის დოკუმენტების წარდგენა უწევდა გადასახადის გადამხდელს ყოველთვე საგადასახადო ორგანოში. მსხვილი საწარმოების შემთხვევაში მათ მიერ აღნიშნული

დეკლარაციის დანართად წარდგენილი დოკუმენტების რაოდენობა რამდენიმე ათას ფურცელს შეადგენდა.




ნახაზი №4 ელექტრონულ დეკლარირებამდე არსებული პროცესი

ყოველივე ზემო აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით გადაწყდა შემოსავლების სამსახურს კურსი აელო მომსახურების სერვისების გაუმჯობესებისკენ და შეექმნა გადასახადის გადამხდელებისათვის კომფორტული ელექტრონული სერვისების სისტემა.

2.3. მონაცემების გაცვლის პროცესი ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვამდე

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურა რეფორმამდე წარმოადგენდა საგადასახადო დეპარტამენტის ცენტრალურ ოფის და რეგიონების მიხედვით საგადასახადო რაიონულ ინსპექციებს, რომლებით თავის მხრივ მოიცავდნენ დამოუკიდებელ მონაცემთა დამუშავების განყოფილებებს. თითოეულ რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში განთავსებული იყო სერვერი, დამოუკიდებელი მონაცემთა ბაზით, რომელთან წვდომა უზრუნველყოფილი იყო ლოკალურად რაიონში განთავსებულ კომპიუტერებს. საგადასახადო დეპარტამენტში განთავსებული იყო ცენტრალური სერვერი მონაცემთა ბაზის იდენტური სტრუქტურით, სადაც ყოველდღიურად ხორციელდებოდა რაიონის მიერ გატარებული მონაცემების გადაგზავნა. კავშირი უზრუნველყოფილი იყო ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელით.



ნახაზი №5 რეფორმამდე არსებული სისტემის სქემა

ასეთი სახით ორგანიზებული სისტემა იწვევდა მონაცემების დუბლირებას, ერთიდაიგივე გადასახადის გადამხდელზე მონაცემების ორ სხვადასხვა საგადასახადო ინსპექციაში ასახვას, დროში ინფორმაციის ანალიზის კიდევ უფრო დაგვიანებას და სხვა.

პროექტის წარმატების განსახორციელებლად საჭირო გახდა სისტემის მოდერნიზაცია. მონაცემების ერთ წერტილში თავმოყრა, მათი გადამუშავების სისწრაფისათვის.

2.4. რეფორმების ჩატარების აუცილებლობა და მომსახურების გამარტივების წინაპირობები

პროექტის საწყის ეტაპზე შესწავლილი და წინა თავში აღწერილი პროცესები, არის მოუხერხებელი და მოითხოვს ხარჯების გაწევას, როგორც გადასახადის გადამხდელის ასევე, შემოსავლების სამსახურის მხრიდან. იმის

მიუხედავად, რომ საგადასახადო ორგანოში დანერგილი იყო კომპიუტერიზაცია და არსებობდა პროგრამული უზრუნველყოფა, მაინც მთელი რიგი პროცესები მიმდინარეობდა რთულად და ქაღალდური მატარებლის გამოყენებით.

სწორედ ამ სირთულეების დასაძლევად და ძირითადად ინფორმაციის ოპერატიულად მიღება დამუშავებისთვის, შესწავლილი იქნა არსებული პროცესები და შეტანილი იქნა ცვლილებები.

2.4.1. საკანონმდებლო ცვლილებები

პირველ ეტაპზე შემუშავდა და დამტკიცდა საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც უზრუნველყო ელექტრონულად წარდგენილი დეკლარაციების და დოკუმენტების იურიდიულად სამართლიანობის განსაზღვრა. შემუშავდა სათანადო ინსტრუქციები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ელექტრონული ურთიერთობების პროცესები.

დღეისათვის შემოსავლების სამსახურის მიერ ელექტრონულად გაცემულ ცნობებსა და დოკუმენტებზე არ დაიტანება რეგისტრატორის ხელმოწერა და სველი ბეჭედი, მის ნამდვილობას განსაზღვრავს სისტემის მიერ განსაზღვრული უნიკალური ნომერი და შტრიხკოდი.

2.4.2. ინფრასტრუქტურის ცვლილება / განვითარება

იმისათვის, რომ მომხმარებელს მივაწოდოთ დაგეგმილი სერვისები არ არის საკმარისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. ძალიან მნიშვნელოვანია სერვისი მივაწოდოთ მინიმალური შეფერხებებით, ანუ გავუწიოთ მაღალკვალიფიციური მხარდაჭერა და მივაწოდოთ ბიზნეს უწყვეტობის მაღალი კოეფიციენტი. ამისათვის აუცილებელია გაკეთდეს მონაცემთა ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნიკით,

ცენტრს მოემსახუროს კვალიფიციური სპეციალისტები და აწყობილი იქნება რეაგირების პროცესები. ასეთი სერვისების მოწოდებისათვის საჭირო გახდა თანამშრომელთა დატრენინგება ახალი ტექნოლოგიების დასანერგად და მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - საიმედოობის მესამე დონის მონაცემთა ცენტრის (data center tier 3) აწყობა, რაც დღეს უკვე რეალობაში მუშაობს.

მონაცემთა ცენტრი ან მონაცემთა შენახვის და დამუშავების ცენტრი - ეს არის სპეციალიზებული შენობა ადგილი, რომელიც გამოიყენება სერვერების და ქსელური მოწყობილობის განსათავსებლად. მონაცემთა ცენტრი ასრულებს მონაცემთა შენახვის, დამუშავების, გავრცელების ფუნქციებს. ის ორიენტირებულია ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტაზე, გამოთვლითი სიმძლავრეების და ინფორმაციული სერვისების მიწოდების გზით. გამოთვლითი რესურსების და შენახვის საშუალებების კონსოლიდაცია მონაცემთა ცენტრში გვამღებს IT ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯების შემცირებას, ტექნიკური საშუალებების ეფექტურად გამოყენების ხარჯზე. მაგალითად, დატვირთვების გადანაწილება, ერთიანი ადმინისტრირება.

მონაცემთა ცენტრის ხარისხიანი მუშაობა მოქმედებს სერვისების მიწოდების ხარისხზე. ძირითადი კრიტერიუმი, რითიც ფასდება ცენტრის მუშაობის ხარისხი, ეს არის მონაცემთა ცენტრის ხელმისაწვდომობის დრო (uptime).

ტიპიური tier 3 მონაცემთა ცენტრი შედგება:


- **საინფორმაციო ინფრასტრუქტურა**, რომელიც მოიცავს სერვერული მოწყობილობებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ცენტრის ძირითადი ფუნქციების შესრულებას - მონაცემთა შენახვა და დამუშავება.
- **სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა**, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ცენტრის ურთიერთკავშირს და ასევე მონაცემთა გადაცემას მონაცემთა ცენტრსა და მომხმარებელს შორის.

- საინჟინრო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ცენტრის ძირითადი სისტემების ნორმალურ ფუნქციონირებას. საინჟინრო ინფრასტრუქტურა მოიცავს კონდიციონირებას - გამოიყენება ცენტრში ტემპერატურის და ტენიანობის დადგენილი პარამეტრების შესანარჩუნებლად; უწყვეტი ენერგომომარაგება, ხორციელდება ყოველი მათგანის დისტანციური კონტროლი.

ასევე, ხორციელდება სერვერების და სისტემების მუდმივი მონიტორინგი. სისტემების მთლიანობის დაცულობისთვის კეთდება ამ სისტემების სარეზერვო კოპირება. მონაცემების მოპარვისგან დაცვის მიზნით გამოყენებულია ვიდეო კონტროლი და ფიზიკური დაცვა - დაცვის თანამშრომლები.


საიმედოობის თვალსაზრისით გამოყენებულია საიმედოობის მესამე დონე (tier 3), რაც გულისხმობს, რომ შესაძლებელია პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება მონაცემთა ცენტრის გაჩერების გარეშე. გააჩნია ორი ძირითადი ელექტრომომარაგება, აქვს სარეზერვო კონდიციონირება. რომ შევაჯამოთ, განხორციელებულია ცენტრის საჭიროებების მაქსიმალური უზრუნველყოფა, რომელიც გამოხატულია შემდეგი ფორმულით N+1. ცენტრის გეგმიური გაჩერების დრო წელიწადში არის ჯამში 2 საათი. შესაბამისად საიმედოობის კოეფიციენტი - 99,9%

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაკეთებულია მეორე მონაცემთა ცენტრი (DR Mirror Site), რომელიც დაკავშირებულია ძირითად მონაცემთა ცენტრთან და გააჩნია სარეზერვო კავშირიც. იგი მუშაობს ძირითად მონაცემთა ცენტრთან ერთი ერთში სინქრონულად. ერთის გაჩერება ნიშნავს მეორეზე გადართვას, ყოველივე ეს ხდება მომხმარებლისთვის შეუმჩნევლად.



ნახაზი N6 მონაცემთა ცენტრების ზოგადი სქემა

ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია შემოსავლების სამსახურის სერვისების შესაბამისად სისტემების უწყვეტობა და უსაფრთხოება. ამისათვის დაიგეგმა და ჩატარდა უზარმაზარი სამუშაოები. გამართულია სპეციალური სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცენტრის ინფრასტრუქტურის მუშაობას და მონაცემთა დაცვას. თითოეულ გამართულ სისტემაზე მოპოვებულია სისტემის მწარმოებლის მხარდაჭერა.



ნახაზი №7 სისტემების ზოგადი სქემა

მონაცემთა ცენტრის შეუფერხებლად მუშაობისათვის გამოყენებულია შემდეგი ძირითადი სისტემები:

მონაცემთა შენახვის მაღალი წარმადობის სისტემა (HPSS High Performance Storage System) - ეს არის მოქნილი, მასშტაბური, მონაცემების იერარქიულად შენახვაზე დაფუძნებული სისტემა. მას შეუძლია გააერთიანოს ბევრი კომპიუტერის, დისკის, დისკური სისტემების, ლენტური ბიბლიოთეკების მოცულობა და სიმძლავრე.

ტექნოლოგია EMC VPLEX - ეს არის აპარატურული ვირტუალიზაციის კომპლექსი შენახვის სისტემების ქვესისტემა. ის უზრუნველყოფს მონაცემების რეპლიკაციას, მასშტაბურობას და მობილობას. ქმნის სანახის ეგრეთწოდებულ ერთიან ფენას, ანუ აერთიანებენ სხვადასხვა მწარმოებლის დისკური მასივების რესურსებს ერთ ლოგიკურ პულში მონაცემთა ცენტრის დონეზე.

მონაცემთა შენახვის ქსელი SAN (**storage area network**) - წარმოადგენს არქიტექტურულ გადაწყვეტას და განკუთვნილია მონაცემთა შენახვის გარე მოწყობილობების - დისკური მასივების, ლენტური ბიბლიოთეკების და სხვა - სერვერებთან მისაერთებლად ისე, რომ შეერთებული რესურსი ადქმული იქნას, როგორც ლოკალური.

ვირტუალიზაცია - ეს არის გამოთვლითი რესურსების ერთობლიობის გამოყოფა ან მათი ლოგიკური გაერთიანებების აბსტრაგირება აპარატურული რეალიზაციიდან, რაც უზრუნველყოფს გამოთვლითი პროცესების ერთმანეთისგან ლოგიკურ იზოლაციას, რომლებიც სრულდება ერთ ფიზიკურ რესურსზე.

მონაცემების უსაფრთხოების კუთხით გამოყენებულია შემდეგი კომპონენტები:

SIEM (Security information and event management) – აღნიშნული აერთიანებს ორ მიმართულებას მონაცემების უსაფრთხოების და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენების მართვას.

ასევე, გამოყენებული არის სპეციალიზებული ტექნოლოგია McAfee Advanced Correlation Engine, რომელც ავლენს საფრთხეებს, რეალურ რეჟიმში მონაცემების შეგროვების და რისკის შეფასების საფუძველზე.

ასევე, გამოყენებულია IPS სისტემები, რომლებიც ზრდიან ქსელის უსაფრთხოების დონეს.

McAfee Network Security Platform არის IPS ერთადერთი სისტემა, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავაინტეგრიროთ ბევრი სხვადასხვა პროდუქტი უსაფრთხოების ერთიან არქიტექტურაში. ასე რომ ერთმანეთთან შეერთებული მოწყობილობები გაცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და შეძლებენ გამოვლენილ საფრთხეებზე რეალურ რეჟიმში რეაგირებას.

ზუსტი სურათის მისაღებად სისტემებში, ქსელში მონაცემთა ბაზებში და აპლიკაციებში დროის რეალურ რეჟიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ გვამღევეს McAfee Enterprise Security მენეჯერი. ის გვამღევეს საშუალებას უწყების შიგნით და გარეთ დროის რეალურ რეჟიმში მივილოთ ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ. კერძოდ, ინფორმაცია საფრთხეების, ინტერნეტ სივრცეში არსებული რესურსების რეპუტაციის ანალიზის შედეგების, დაცულობის სტატუსის შესახებ. გვამღევეს აქტუალურ წარმოდგენას სისტემებზე, მონაცემებზე, რისკებზე და მოქმედებებზე ჩვენი უწყების შიგნით.


ყოველივე ზემოთ აღნიშნული უზრუნველყოფს სწრაფი რეაგირების მაღალ დონეს, ინფორმაციის შეგროვებას კონკრეტული ზომების მისაღებად, ანალიზს დაფარული საფრთხეებს აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. ეს არის, რაც საშუალებას გვამღევეს სწრაფად მივილოთ გადაწყვეტილება რისკების გათვალისწინებით.

გამოყენებულია ასევე ფაერვოლები Firewall - ეს არის აპარატურული და პროგრამული საშუალებების კომპლექსი კომპიუტერულ ქსელში, რომელიც აკონტროლებს და ფილტრავს ქსელში მოძრავ პაკეტებს და ამოწმებს შესაბამისობას ქსელში გაცხადებულ წესებთან. ძირითადი ამოცანაა ქსელის დაცვა, არასანქცირებული შეღწევის აღმოჩენა და აღმოფხვრა.



სურათი №1 სისტემის მონიტორინგი

მნიშვნელოვანი კომპონენტია მონაცემთა ცენტრის მონიტორინგი, რისთვისაც გამართულია პროგრამები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია დისტანციურად ცენტრის მართვა და მონიტორინგი. მონაცემთა ცენტრში დღეს დღეისობით მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი 24/7. სისტემაში გამართულია ავტომატური მონიტორინგიც, რაც გამოხატულია შესაბამისი შეტყობინებების მიღებით კონკრეტული პარამეტრების მითითების საფუძველზე.



სურათი №2 სისტემის მონიტორინგის გამოხატვა დიაგრამით

- მოდერნიზირებული ტექნოლოგიები:
 - ბლეიდის ტექნოლოგიაზე გადასვლა;
 - ვირტუალიზაცია – არსებული შესაძლებლობების გამოყენების ოპტიმიზაცია.
- მონაცემების სარეზერვო კოპირება და ბიზნესის განვითარების უწყვეტობა
 - მონაცემთა ბაზის კლასტერიზაცია – სტაბილურობისა და მდგრადობის გაზრდა;
 - სისტემის შეფერხებების აღმოფხვრისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობის შემცირება;
 - მნიშვნელოვანი და საოპერაციო მონაცემების ავტომატური სარეზერვო სასერვერო ცენტრის შექმნა და ადამიანური ფაქტორის გამორიცხვა.

- ინფრასტრუქტურის ცენტრალიზებული მართვა
 - ინციდენტების ეფექტური პრევენცია – მსგავსი ინციდენტების რაოდენობა 5-ჯერ შემცირდა;
 - არასანქცინირებული შეტევების ეფექტური პრევენცია – სისტემაში ინტერვენციის არც ერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული;
 - სისტემის შეფერხებების აღმოფხვრისთვის საჭირო დროის 3-ჯერ შემცირება

2.4.3. ორგანიზაციულ სტრუქტურული ცვლილებები

შეიცვალა ორგანიზაციული მოდელი, გაუქმდა რეგიონალური ცენტრები, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა მომსახურების დეპარტამენტი, რომლის დაქვემდებარებაშია რაიონული სერვის ცენტრები. აღნიშნული ცვლილებების თაობაზე მომზადდა და განხორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ელექტრონული მომსახურების სერვისის განვითარების პროცესზე პასუხისმგებელია შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა მომსახურების დეპარტამენტი, რომელიც პორტალზე განსახორციელებელ სასურველ, მოსალოდნელ ცვლილებებს უთანხმებს მთავარ მენეჯმენტს.

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი უზრუნველყოფს ელექტრონული მომსახურების სერვისების ტექნიკურ მხარდაჭერას, ახორციელებს ტექნოლოგიურ განვითარებას, უზრუნველყოფს ახალი მოთხოვნების ინიცირებასა და ინტეგრირებას არსებულ მოდულში. IT ცენტრი ასევე უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნების, და კმაყოფილების დონის შესწავლას, რის შედეგად ახორციელებს სერვისის დახვეწას და მოქნილობის უზრუნველყოფას.

2.5. მომსახურების სერვისის დანერგვით მიღწეული შედეგი

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისებში არსებულმა ელექტრონული დეკლარირების სერვისმა არსებობის პერიოდში გაიარა განვითარების ეტაპები.

2005 წელს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და შეიქმნა გადასახადის გადამხდელის ელექტრონული პორტალი, რომელიც საშუალებას აძლევდა, პორტალზე დარეგისტრირებულ, გადასახადის გადამხდელს მიეღო ინფორმაცია მისი პირადი აღრიცხვის ბარათებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედეგების შესახებ.

სამომავლოდ განისაზღვრა ელექტრონული დეკლარირების შექმნის იდეა და დაიგეგმა მისი განხორციელების და განვითარების ეტაპები. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა და მონაწილეს იღებდა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი (დღეს შემოსავლების სამსახური), USAID “BUSINESS CLIMATE REFORM” („ბიზნეს გარემოს რეფორმა“) პროექტის ხელშეწყობით.

პროექტის ფარგლებში USAID-ის „ბიზნეს გარემოს რეფორმის პროექტის“ კვლევით შესწავლილი იქნა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის პროცედურები, დათვლილი იქნა პროცედურებზე დახარჯული რესურსის (ადამიანური; მატერიალური; დროის რესურსები) ოდენობა. კვლევის შედეგად განისაზღვრა ელექტრონული დეკლარირების პროექტის ეფექტურობა. საწარმოებს და მთავრობას ყოველწლიურად დაახლოებით 8.5 მილიონ აშშ დოლარს დაუზოგავს ქაღალდის დეკლარაციების დამუშავების ხარჯზე, ამასთან დაახლოებით 70 %-ით ნაკლები დროა საჭირო ქაღალდის დეკლარაციის შევსებასთან შედარებით.

გადამხდელის პორტალის რეალურ რეჟიმში ჩართვა თავდაპირველად განხორციელდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ინსპექციაში

რეგისტრირებული გადამხდელებისათვის, რომელთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100 გადამხდელს.

2006 წელს ელექტრონული პორტალის მომხმარებლად რეგისტრაცია გაიარა მოქმედი გადასახადის გადამხდელების 60 %-მა. ამავე წელს დაიგეგმა ელექტრონული დეკლარირების პორტალის ორგანიზება. ამ კუთხით შესწავლილი იქნა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში არსებული ბიზნეს პროცესების ერთობლიობა. განხორციელდა პროცესების სტანდარტიზაცია, რომლის მიხედვით განისაზღვრა ელექტრონული დეკლარირების პროგრამული ლოგიკა.

2007 წლის იანვარში განხორციელდა, დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციის შევსებისა და საგადასახადო ორგანოში წარდგენის სერვისი; აღნიშნული სერვისით სარგებლობა შესაძლებელი გახდა დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ყველა გადამხდელისათვის, რომელთა რაოდენობა იმ დროისთვის შეადგენდა 553 გადამხდელს. ამავე წელს განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის სერვისის დანერგვა. ელექტრონული დეკლარირების სერვისი ითვალისწინებდა ვებ აპლიკაციას, რომელიც განთავსებული იყო შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ვებ გვერდზე და იძლეოდა დეკლარაციის ონლაინ შევსების საშუალებას, Windows აპლიკაცია, რომლის გამოყენებით (გადმოწერით და დაინსტალირებით) შესაძლებელი იყო დეკლარაციების შევსება offline რეჟიმში და შემდგომ გადმოგზავნა; სერვისი ასევე ითვალისწინებდა XML ტიპის ფორმატის ფაილების მიღებას, რომლის გენერირება შესაძლებელია საბუღალტრო პროგრამებიდან.

სერვისის ამოქმედებამდე მოხდა გადამხდელების ინფორმირება, USAID-ის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები დაინტერესებული პირთათვის (ბუღალტრები, ფინანსური მენეჯერები). ასევე საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა საგადასახადო ინსპექციებში „ღია კარის დღეები“ გადამხდელებისათვის, სადაც მოხდა სერვისის პრეზენტაცია. ელექტრონული

დეკლარირების სერვისის შესახებ გადამხდელების ინფორმირება ასევე განხორციელდა სატელევიზიო კომუნიკაციით.

პერიოდულად (2008, 2009, 2013, 2014 წლებში) ხორციელდებოდა შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სერვისის განახლება, ახალი დეკლარაციების და ახალი მომსახურების ფუნქციების დამატებით, ისეთების როგორცაა ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურები; ელექტრონული სასაქონლო ზედნადებები; ელექტრონული განცხადებები-მოთხოვნები; ელექტრონული საჩივრები და სხვა. რამაც ხელი შეიწყო გადასახადის გადამხდელის პორტალის დახვეწას და მის მრავალფუნქციონალურობას.

მოქმედი კანონმდებლობით ფინანსური ვალდებულებების დეკლარირება გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს, როგორც ელექტრონულად (რასაც ახორციელებს გადამხდელის 98%) ასევე ქაღალდური ფორმით. ქაღალდური ფორმით შევსებული დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია ფოსტით ან სერვის ცენტრში ადგილზე მისვლით. ქაღალდური ფორმით (დასკანირებული ფაილი ან სხვა სახის ფაილი) წარსადგენად დამატებით შექმნილია განცხადებების ელექტრონული სერვისი, რომლის გამოყენებით მომხმარებელს აქვს საშუალება სერვის ცენტრში მიუსვლელად წარადგინოს დეკლარაცია.

დღეისათვის არსებული მოდელი წარმოადგენს მარტივად სამართავ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია სხვადასხვა გადასახადებზე, სხვადასხვა სახის დეკლარაციების ფორმირებაზე და მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე სხვა სერვისებთან.


შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების განვითარება სრულად ხორციელდება შემოსავლების სამსახურის შიგნით, მის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, "აუთსორსინგი" არ განხორციელებულა გადამხდელის პორტალის განვითარების არცერთ ეტაპზე.

ელექტრონული დეკლარირების სისტემას 2009 წელს დაჯილდოვებულია GITI (Georgian IT innovations – regional information technology events) ნომინაციაში - "სახელმწიფო სტრუქტურის მიერ შექმნილი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ელექტრონული მომსახურება“.


დღეისათვის სერვისის მომხმარებელთა რაოდენობა განისაზღვრება: სულ მომხმარებელთა რაოდენობა - 630 729, მ.შ. ფიზიკური პირები - 147356; ქვემომხმარებელი - 75 068.

ცხრილი №1 სერვისის მომხმარებლების რეგისტრაციის დინამიკა წლების მიხედვით თვეების ჭრილში

წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
იანვარი	11	113	24772	7805	5065	4281	4486	3869
თებერვალი	28	319	16369	8661	6495	5195	5095	4729
მარტი	46	332	49037	40951	25522	15340	11341	9036
აპრილი	1945	260	10503	10240	8321	5638	4988	9247
მაისი	569	284	3330	5143	5328	3770	4097	4425
ივნისი	374	287	2143	3020	4265	3599	3859	4386
ივლისი	387	225	1914	2957	3921	4213	4000	4366
აგვისტო	153	199	2091	2896	3243	3765	3165	3170
სექტემბერი	185	291	2684	3064	3098	4314	4265	3855
ოქტომბერი	244	689	3676	3251	11631	7479	7286	6634
ნოემბერი	151	707	4432	3870	4950	6710	2829	5058
დეკემბერი	269	20241	7043	4579	4580	5944	8547	4732
სულ	4362	23947	127994	96437	86419	70248	55411	63507



ნახაზი №8



ნახაზი №9


როგორც დიაგრამა N -დან ჩანს 2010 წელს სერვისის მომხმარებელთა რეგისტრაციამ პიკს მიაღწია, ამ დროისთვის გადამხდელის პორტალზე უკვე რეალიზებულია დღეისათვის მოქმედი სერვისების ძირითადი უმრავლესობა. და მათი გამოყენება დაწყებული აქვს იმ დროისთვის მოქმედ გადასახადის გადამხდელთა 90 % -ს. შემდეგ წლებში მომხმარებელთა რეგისტრაცია ასახავს ძირითადად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ახლად რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელების რაოდენობას.

გადასახადის გადამხდელთა პორტალიდან საგადასახადო ვალდებულებებს ყოველთვიურად წარადგენს მოქმედი გადამხდელების 98% , რაც გამოხატულია შემდეგ ცხრილებსა და დიაგრამებში.

ცხრილი №2 წარმოდგენილი დეკლარაციების დინამიკა წლების/თვეების მიხედვით

პერიოდი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
იანვარი	553	1109	3222	59999	84448	100863	182351	186572	226022
თებერვალი	572	1151	3208	64129	85664	100335	184680	184326	232565
მარტი	668	1223	3402	68381	88836	102879	186684	184619	511734
აპრილი	634	1245	3513	69140	89607	103876	189122	185646	271377
მაისი	660	1392	3755	70382	92044	110011	190158	185700	219766
ივნისი	675	1462	4095	71697	94242	185535	192639	186595	214996
ივლისი	690	1548	4473	72222	95388	172928	193405	186735	213982
აგვისტო	736	1622	4756	72914	96798	169629	192771	186142	209824
სექტემბერი	781	1786	7252	76256	99173	171681	197952	186831	212021


ოქტომბერი	795	1957	9005	78010	100403	172929	200455	159804	257291
ნოემბერი	815	2037	36111	79136	101659	173057	201565	207097	222997
დეკემბერი	1061	2496	58551	83950	109659	184420	210891	217818	222552
სულ	8640	19028	141343	866216	1137921	1748143	2322673	2257885	3015127



ნახაზი №10

პერიოდი	წლიური დეკლარაციების რაოდენობა
2007 წ.	14639
2008 წ.	27139
2009 წ.	272409
2010 წ.	393346
2011 წ.	457320
2012 წ.	402646
2013 წ.	394372
2014 წ.	422513
2015 წ.	450307

ცხრილი №3 წლიური დეკლარაციების წარდგენის დინამიკა



ნახაზი №11

დეკლარირების გარდა გადამხდელის პორტალიდან შესაძლებელია საბუღალტრო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოება, ისეთების როგორცაა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა; ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა; სასაქონლო ზედნადები (მ.შ. ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები). აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება პირდაპირ დაკავშირებულია საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირების პროცესთან.


საბუღალტრო დოკუმენტაციის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და სასაქონლო ზედნადების წარმოების პროცესი მოიცავს ორ პარტნიორ კომპანიას შორის მონაცემების გაცვლას. (დოკუმენტის შედგენა, პარტნიორ კომპანიასთან გადაგზავნა და მისგან დასტურის ან უარყოფის მიღება). სისტემაში აღნიშნული პროცესის ორგანიზება საგრძნობლად უმარტივებს ბიზნეს პარტნიორებს ურთიერთობას და ხელს უწყობს ძირითადი ბიზნეს პროცესების დაჩქარებას.

საშუალოდ თვეში გადამხდელების მიერ ხორციელდება 1 481 720-ზე მეტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შედგენა. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის ვალდებულება აქვთ, მხოლოდ დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელებს, რომელთა საერთო რაოდენობა დღეისათვის შეადგენს - 88124 გადამხდელს.

ცხრილი №4 საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურების რაოდენობა წლების ჭრილში თვეების მიხედვით

პერიოდი	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
იანვარი	0	59295	609261	986783	1189719	1206327
თებერვალი	0	138333	713093	1099077	1243990	1322617
მარტი	0	289925	819277	1199392	1424043	1423170
აპრილი	0	396984	809078	1314669	1436021	1411501

მაისი	0	511880	1108229	1285127	1491957	1459489
ივნისი	0	567451	1098680	1273417	1527914	1583304
ივლისი	0	557699	1146770	1411442	1547601	1602147
აგვისტო	0	622723	1137435	1286186	1379684	1455323
სექტემბერი	0	686332	1175951	1340770	1526555	1548827
ოქტომბერი	46	704495	1205535	1456507	1571120	1566483
ნოემბერი	4116	714399	1145793	1380318	1439908	1532808
დეკემბერი	25721	782225	1242803	1448596	1615799	1668646




ნახაზი №12

საქართველოს ტერიტორიაზე როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივი წარმოების ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების - ბენზინის, დიზელის საწვავის, ნავთის ტრანსპორტირებს, შენახვა და რეალიზაცია ხორციელდება სპეციალური დღგ-ს ნავთობის

ანგარიშ-ფაქტურით. რომელიც ისევე როგორც დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა წარმოადგენს დღგ-ს თანხის ჩათვლის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს გადასახადის გადამხდელმა დღგ-ს დეკლარაციასთან ერთად. სერვისი პორტალზე ფუნქციონირებს 2011 წლიდან, დღეისათვის თვეში საშუალოდ გადამხდელის პორტალიდან იწერება - 52 012 ნსაფ.

ცხრილი №5 ნავთობის სპეც. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოების დინამიკა წლების ჭრილში თვეების მიხედვით


პერიოდი	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
იანვარი	0	13875	33038	37431	41981
თებერვალი	0	16473	34075	37442	43778
მარტი	0	24099	37809	42403	48141
აპრილი	0	32413	42312	42729	47469
მაისი	0	40117	42947	48222	51182
ივნისი	0	43069	41889	48613	55011
ივლისი	0	47306	47029	53497	59470
აგვისტო	2	49249	46618	50188	55039
სექტემბერი	324	48101	42650	48807	55636
ოქტომბერი	2680	45275	48115	51458	55655
ნოემბერი	9184	42604	47634	48449	52737
დეკემბერი	14588	41398	45993	53695	58052



ნახაზი №13

რაც შეეხება, სასაქონლო ზედნადებებს, რომელის გამოწერა სავალდებულოა, საქონლის მიწოდებისას ყველა გადასახადის გადამხდელთათვის, მათი რაოდენობა გაცილებით აღემატება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების რაოდენობას და თვეში საშუალოდ შეადგენს - 4 423 970 ზედნადებს.

სასაქონლო ზედნადებების სერვისის გამოყენების დინამიკა



ნახაზი №14

**თავი III შემოსავლების სამსახურის ელექტრონული
მომსახურების სერვისების პროცესის აღწერა, სისტემის
შესაძლებლობები**

3.1. ელექტრონული სერვისის ზოგადი მიმოხილვა

დღეისათვის შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელებს „გადამხდელის პორტალზე“ სთავაზობს 20-მდე სხვადასხვა სახის ელექტრონული მომსახურების სერვისებს, რომელთა გამოყენებითაც საგადასახადო აგენტებს უმარტივდება ურთიერთობა საბაჟო და საგადასახადო ორგანოებთან, პორტალი ასევე ეხმარება საბუღალტრო დოკუმენტების სწორად აღრიცხვიანობაში, მონაცემების ხელმისაწვდომობაში და რაც მეტად მნიშვნელოვანია პორტალის გამოყენებით ბიზნესი ზოგავს დროს და ფინანსებს. ელექტრონული სერვისები საშუალებას იძლევა ოფისიდან გაუსვლელად გადამხდელებმა განახორციელოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულება კერძოდ, შესაძლებელია განახორციელონ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება, მოითხოვონ და მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურება საბაჟო და საგადასახადო ორგანოდან; აწარმოონ საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშგების დოკუმენტაცია - საგადასახადო ა/ფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები; წარადგინონ საგადასახადო საჩივარი და სხვა.


დღეისათვის, გარდა „გადამხდელის პორტალისა“ შემოსავლების სამსახურის გვერდზე ორგანიზებულია დამატებით სხვა სახის მომსახურების სერვისები, რომლებიც ასევე ამარტივებს გადამხდელისთვის საბუღალტრო და საბაჟო-საგადასახადო ურთიერთობისთვის არსებულ პროცესებს. მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებს:

- გადამხდელის პორტალი;
- საფოსტო გადამხიდავის პორტალი;

- TAX FREE დღგ-ს თანხის უკან დაბრუნების სერვისი;
- ელექტრონული გადახდების სერვისი;

საბაჟო პროცედურების გამარტივების მიზნით, გადამზიდავი კომპანიებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული სერვისი - „საფოსტო გადამზიდავის პორტალი“, რომელიც საშუალებას იძლევა საფოსტო გზავნილების აღრიცხვის და დეკლარირების“ - აღნიშნულ სერვის იყენებს ყველა გადამზიდავი 93 კომპანია; საბაჟო პროცედურების გამარტივებისათვის ასევე ფუნქციონირებს „ტერმინალის მომსახურება“, „ტვირთის/ავტომობილის ძებნა“, ტვირთის სატრანსპორტო საშუალების საზღვრის გამოკვეთისთანავე ინფორმაციის მიღების სერვისი; ავტომობილის განბაჟების გამომთვლელი და სხვა.

საფოსტო გადამზიდავის პორტალის ფუნქციონალური დიაგრამა




ნახაზი №15

„TAX FREE დღგ-ს თანხის უკან დაბრუნების სერვისი“, ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ, საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის უკან დაბრუნებას. დღგ-ს თანხის დაბრუნება ხორციელდება საქონლის უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოწერილი სპეციალური ქვითრის

საფუძველზე, რომელიც არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. სერვისში ჩართულია, Tax Free - სერვისით მოსარგებლე გადამხდელების სავაჭრო ობიექტები, მაღაზიები, რომლებიც ახორციელებენ პორტალის მეშვეობით შესაბამისი თანხის დაბრუნების ქვითრის შევსება/გამოწერას. ასევე სერვისის მომხმარებლებს წარმოადგენენ საბანკო დაწესებულების და საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ თანხის დაბრუნების პროცედურის თანმიმდევრობას. პროცესის სრული ავტომატიზაცია ამარტივებს უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმს, და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, საზღვრის კვეთის დროს თანხის მარტივად დაბრუნებას.

TAX FREE დღ-ს თანხის უკან დაბრუნების სერვისის დიაგრამა



ნახაზი №16

2014 წელს ამოქმედდა ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და თანხის დაბრუნების სერვისი, რომელმაც საშუალება მისცა 469403 ფიზიკურ პირს ესარგებლათ დაუბეგრავი მინიმუმის თანხის უკან დაბრუნების დეკლარაციის წარდგენით და თანხის დაბრუნებით, სერვისის დახმარებით მოხერხდა ფიზიკური პირების შეუფერხებელი და ეფექტური მომსახურება. აღნიშნულ სისტემაში ორგანიზებულია სერვისის სხვადასხვა უწყებებთან. ფიზიკური პირის ანგარიშსწორების ანგარიშის გადამოწმების სერვისი - ყველა საბანკო დაწესებულებასთან და თანხის დაბრუნების სერვისი - სახელმწიფო ხაზინასთან.


სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას კვლევის საგანია „გადამხდელის პორტალი“ - რომელიც წარმოადგენს სერვისების ერთობლიობას, რითაც საგადასახადო აგენტი ახორციელებს ურთიერთობას შემოსავლების სამსახურთან. პორტალი წარმოადგენს ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულ პროგრამული პროდუქტების ერთობლიობას.

ელექტრონული დეკლარირების სერვისი - საშუალებას აძლევს გადასახადის გადამხდელს ელექტრონულად წარადგინოს დღევანდელი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ტიპის საგადასახადო დეკლარაცია და გაანგარიშება. (ყოველთვიური, წლიური და კვარტალური). სულ სერვისი ითვალისწინებს 34 სხვადასხვა სახის დეკლარაციის (გაანგარიშების) ფორმას, რომელიც შეადგენს საგადასახადო პერიოდის მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არსებული გადასახადების დეკლარაციის ფორმებს. სისტემაში დეკლარაციის ფორმები ორგანიზებულია გადასახადის გადამხდელის კატეგორიის (დღგ-ს გადამხდელი, მცირე/მიკრო სტატუსის მქონე გადამხდელი); სამართლებრივი ფორმის, საგადასახადო პერიოდის, წარდგენის ვადის (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური დეკლარაციები) მიხედვით.

დეკლარირების სერვისი ასევე ითვალისწინებს მომხმარებლის ინფორმირებას მის მიერ წარდგენილი დეკლარაციების/ფორმების

საგადასახადო ორგანოში მიღების შესახებ, რის დასტურსაც წარმოადგენს დეკლარაციაზე მინიჭებული უნიკალური ნომერი და სისტემის მიერ მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება დეკლარაციის ჩაბარების შესახებ.

ელექტრონული დეკლარირების პროცესუალური დიაგრამა



ნახაზი №17

დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციის დანართების შევსება წარმოებს მკაცრი აღრიცხვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მოდულიდან. თავის მხრივ საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის გენერირება დღგ-ს გადამხდელებისათვის ორგანიზებულია ელექტრონული სასაქონლო ზედნადების დოკუმენტის საფუძველზე. ასე რომ აღნიშნული პროგრამული მოდულები წარმოადგენს ურთიერთ დამოკიდებულ პროგრამულ პროდუქტებს.

ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები - სერვისი ფუნქციონირებს 2010 წლიდან, მისი ძირითადი მომხმარებლები არიან დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელი ორგანიზაციები. სერვისი საშუალებას აძლევს გადამხდელს ელექტრონულად აწარმოოს ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა პარტნიორ კომპანიებზე (მყიდველზე), მიიღოს პარტნიორებისგან დასტური შესრულებულ ოპერაციაზე (ა/ფაქტურის დადასტურებით) და წარადგინოს ა/ფაქტურა დღგ-ს დეკლარაციასთან ერთად საგადასახადო ორგანოში.

ამავე სერვისის დახმარებით მყიდველს აქვს შესაძლებლობა გამყიდველისგან მოითხოვოს ადრე შესრულებულ ოპერაციებზე (სასაქონლო ზედნადების საფუძველზე) ა/ფაქტურის გამოწერა, აქვე მიიღოს საკონტაქტო მონაცემები პარტნიორ კომპანიებზე; მიიღონ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოდან გაუქმებული ა/ფაქტურების შესახებ.

ელექტრონული ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა - სერვისი ასევე ფუნქციონირებს 2010 წლიდან, მისი მომხმარებლები არიან ძირითადად ნავთობპროდუქტების რეალიზატორი კომპანიები. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება საწვავის გადაადგილებისას ერთი საცავიდან მეორეში ან იმპორტის შემთხვევაში, საბაჟოდან დანიშნულების ადგილზე გადაზიდვისას. პარტნიორ კომპანიებს (გადასახადის გადამხდელებს) შორის ელექტრონულ რეჟიმში ხდება ნავთობის საგადასახადო ა/ფაქტურების (ნსაფ) გამოწერა/დადასტურება. 2014 წლიდან იგეგმება ნავთობპროდუქტების საბითუმო პარტიების მიღებისა და მიწოდების ყოველდღიური აღრიცხვისა

და ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაციის აღრიცხვის სპეციალური ელექტრონული ჟურნალების დანერგვა, რითაც მოხდება საგადასახადო ორგანოს ინფორმირება გახარჯული / რეალიზებული ნავთობპროდუქტების მოცულობის შესახებ.

ელექტრონული სასაქონლო ზედნადები - ერთ ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული სერვისია, რომლის საშუალებით ხორციელდება ტრანსპორტირების სასაქონლო ზედნადების გამოწერა. აღნიშნულ სერვისს ყოველდღიურად იყენებს ყველა მეწარმე სუბიექტი. სერვისი მარტივად ინტეგრირებადია საბუღალტრო პროგრამებში, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას მეწარმეებისათვის.

სასაქონლო ზედნადების შესახებ ინფორმაცია, დოკუმენტის გააქტიურებისთანავე (ტრანსპორტირების დაწყების თარიღით), რეალურ დროში ხელმისაწვდომი ხდება შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის, რომლებიც თავის მხრივ ახორციელებენ მონიტორინგს, ტვირთის გადაადგილებაზე. სერვისი ფუნქციონირებს 2012 წლიდან, ყოველდღიურად სერვისის საშუალებით ხორციელდება 100 000 -ზე მეტი სასაქონლო ზედნადების გამოწერა.

2012 წელს, ელექტრონული სასაქონლო ზედნადების სერვისის ამოქმედებასთან ერთად, განხორციელდა ელექტრონული ა/ფაქტურების არსებული სერვისში ცვლილებები, კერძოდ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განხორციელდა ელექტრონული სასაქონლო ზედნადების და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დაკავშირება, რამაც მნიშვნელოვნად გაუმარტივა გადამხდელებს საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება. აღნიშნული სერვისით ყოველთვიურად ხორციელდება 500 000-ზე მეტი საგადასახადო ა/ფაქტურის გამოწერა.

შეტყობინებების სერვისი - გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობის მარტივი და მოქნილი საშუალებაა, რომლითაც ხორციელდება გადასახადის გადამხდელის დროული ინფორმირება მასზე


საგადასახადო/საბაჟო პროცესების მიმდინარეობის შესახებ - გადამხდელის პირად გვერდზე საგადასახადო/საბაჟო პროცესების მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტაციის წარდგენა (ელექტრონული საგადასახადო მოთხოვნა, ოქმი, ბრძანება, გირავნობა და ა.შ.). აღნიშნული სერვისი ამარტივებს სავალდებულო დოკუმენტების გადამხდელზე ჩაბარების ვალდებულებას, სისტემაში ასევე აღირიცხება დოკუმენტის გაცნობის/ჩაბარების თარიღი, რომელიც შემდგომში გამოიყენება საგადასახადო დავის წარმოების დაწყებისას.

ელექტრონული საჩივარი - სერვისი ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ელ. სერვისების ყველა მომხმარებლისთვის და ითვალისწინებს საგადასახადო საჩივრის წარდგენას შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში. ამავე სერვისის საშუალებით ხდება გადამხდელის ინფორმირება მის მიერ წარდგენილ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინებით მიღებული დოკუმენტის გასაჩივრების ვადების დაცვით ხორციელდება დავის პროცესის წარმოება. საგადასახადო აგენტს აღნიშნული მოდულის საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა საგადასახადო დავა აწარმოოს ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე უწყებაში. დავის განმხილველ ორგანოდ პორტალზე განსაზღვრულია: ფინანსთა სამინისტროს დავების დეპარტამენტი; შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტი და აუდიტის დეპარტამენტის მედიაციის საბჭო.

პორტალზე ასევე ფუნქციონირებს ელექტრონული განაცხადების სერვისი, რომელიც საშუალებას იძლევა გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო/საბაჟო ორგანოს ელექტრონულად მიმართოს სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად, ასევე ელექტრონულად მიიღოს პასუხი მოთხოვნილ განცხადებებზე. სისტემა განცხადების/მოთხოვნის შინაარსის მიხედვით ოპერატიულად დამატებითი რესურსის გარეშე, თავად განსაზღვრავს თავისუფალ შემსრულებელს - შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებელ პირს და უზრუნველყოფს მოთხოვნის შესრულების ვადებზე კონტროლს, ასევე ახორციელებს მომსახურების საფასურის გადახდის

კონტროლს, საბანკო დაწესებულებებთან არსებული სერვისით. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს ე.წ. ავტომატური სახის განცხადებებს, ასეთი ტიპის განცხადებებზე პასუხის გასაცემად არ იხარჯება შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის რესურსი და სისტემა თავად უზრუნველყოფს გადამხდელის მოთხოვნაზე სათანადო პასუხის ფორმირებას და მოთხოვნის შესაბამისად საჭირო ოპერაციების განხორციელებას, როგორცაა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ ცნობის გაცემა და სხვა.

განცხადების მართვის პროცესის დიაგრამა



ნახაზი №18

გადამხდელის ობიექტების რეგისტრაცია - აღნიშნული სერვისით გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ინფორმაციას მის მფლობელობაში არსებული ობიექტების (ფილიალები, მაღაზიები, საზღვრების ობიექტები, სასტუმრო დაწესებულებები და სხვა) შესახებ. გადამხდელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება ეკონომიკურ რუკაზე ობიექტების დატანება. აღნიშნული სერვისი აადვილებს საგადასახადო მონიტორინგს.

საგადასახადო კალენდარი - სერვისი უზრუნველყოფს გადამხდელისათვის პრევენციულ შეხსენებებს დეკლარირების თარიღის მოახლოებასთან დაკავშირებით. გადამხდელის მიერ წინასწარ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხდება გადამხდელის ინფორმირება მოახლოებული

დეკლარირების თარიღის თაობაზე, იმ შემთხვევაში თუ მის მიერ დეკლარირება ჯერ არ განხორციელებულა.

პირადი ინფორმაცია - სერვისი საშუალებას აძლევს გადამხდელს მიიღოს სრული ინფორმაცია მის შესახებ საბაჟო და საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემების შესახებ, კერძოდ მის მიერ წარდგენილი ელექტრონული და ქალაქდური დეკლარაციების რეესტრის საძიებო, გადასხადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელებული საგადასახადო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია (საინკასო დავალება, გირავნობა, ყადაღა); საკონტროლო სალარო აპარატების შესახებ ინფორმაცია; საკონტროლო სალარო აპარატებიდან ფისკალური მაჩვენებლები; საბაჟო დეკლარაციები, და სხვა. აღნიშნული სერვისით ხდება გადამხდელის სრულად ინფორმირება.

ელექტრონული მომსახურების დანერგვამ შემოსავლების სამსახურში მკვეთრად გაზარდა გადამხდელთა მომსახურების ხარისხი და გაამარტივა ურთიერთობა საბაჟო და საგადასახადო ორგანოებთან.

დღეის მდგომარეობით ელექტრონული სერვისების გვერდზე ფუნქციონირებს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების მუშაობის ხარისხის შეფასების განსაზღვრისათვის გადამხდელთა გამოკითხვის სისტემა, რითაც შესაძლებელია გადამხდელის კმაყოფილების ხარისხის დადგენა. ასევე კითხვა-პასუხის სერვისი, - ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება მიმართოს საბაჟო და საგადასახადო საკითხებთან მიმართებაში წამოჭრილი კითხვებით შემოსავლების სამსახურს და მიიღოს ელექტრონულად პასუხი, დასმულ საკითხში კვალიფიცირებული თანამშრომლისგან.

3.2 სისტემაში დაშვება და უსაფრთხოება

ელექტრონული მომსახურების ვებ გვერდი განთავსებულია დაცულ მისამართზე <https://eservices.rs.ge>, დაკავშირება სისტემასთან ხორციელდება

ყველასთვის მისაწვდომი ინტერნეტ ქსელით, SSL (Secure Sockets Layer) პროტოკოლით დაცულ რეჟიმში. SSL ეს არის პროტოკოლი, რომელიც იცავს ვებ-ბრაუზერებსა და ვებ-სერვერებს შორის გაგზავნილ მონაცემებს. სერვერის აუტენტიფიკაცია, რაც მომხმარებელს აძლევს უზრუნველყოფას იმისა, რომ ნამდვილად იმ სერვერს დაუკავშირდა ინტერნეტში, რომელიც იყო არჩეული. შექმნილია ისეთი დაცული არხი, რომელშიც შეიძლება ვებ-ბრაუზერებსა და ვებ-სერვერებს შორის დაშიფრულ ფორმაში გაიგზავნოს ინფორმაცია, იმისათვის, რომ ვერვინ ვერ შეძლოს მიიღოს მასზე წვდომა ან მოახდინოს ინფორმაციის შეცვლა, დამახინჯება.

სისტემაში შესვლა ხორციელდება მომხმარებლის სახელით და პაროლით. მომხმარებლის უფლებების დაცვის და სისტემაში არასანქცირებული შეღწევის თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია დამატებითი უსაფრთხოების ზომები, კერძოდ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს კოდური სიტყვის ჩართვის სერვისით და ყოველი ავტორიზაციისას გამოიყენოს დამატებითი კოდი, რომელიც სისტემის მიერ ეგზავნება მობილური ტელეფონის ნომერზე.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების მისაღებად, სავალდებულოა სერვისის მომხმარებლად რეგისტრაცია, რისთვისაც საჭიროა ფიზიკური ან იურიდიული პირი იმყოფებოდეს საგადასახადო აღრიცხვაზე.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების მომხმარებლად რეგისტრაციისთვის გადასახადის გადამხდელი ავსებს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ვებ გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ანკეტას, სადაც უთითებს მომხმარებლის დასახელებას, მომხმარებლის პაროლს, საკონტაქტო მონაცემებს (მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლის უტყუარობის შესამოწმებლად სისტემა აგზავნის ერთჯერად კოდს ანკეტის შევსებისას მითითებულ მისამართზე).

ანკეტის წარმატებით შევსების შემდეგ, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის მიერ ხდება მომხმარებელს გააქტიურება. ამისათვის გადასახადის გადამხდელის ნდობით აღჭურვილი პირი აკითხავს შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვის-ცენტრს, ადასტურებს მიე მიერ შევსებული ანკეტის ნამდვილობას პირადი განცხადების საფუძველზე ახორციელებს მომხმარებლის აქტივაციას.

საგულისხმოა, რომ ფიზიკური პირებისთვის სისტემაში ორგანიზებულია ვიდეო აქტივაციის სერვისი - მომხმარებლის გააქტიურება შესაძლებელია, შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრში მისვლის გარეშე ონლაინ - ვიდეოთვალის გამოყენებით. ვიდეოთვალით მომხმარებელი უკავშირდება შემოსავლების სამსახურის ცხელი ხაზის ოპერატორს, რომელიც ახდენს პირის იდენტიფიკაციას და ახდენს მომხმარებლის აქტივაციას.

აქტივაციის წარმატების დასრულების შედეგად მომხმარებლის გვერდზე სისტემის მიერ იგზავნება შეტყობინება: მისალმებით და გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების განმარტებით, მისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით. ამავე ნიშნის გათვალისწინებით გადამხდელის გვერდზე ხდება იმ დეკლარაციების გენერირება, რომლის ვალდებულებაც წარმოექმნება მომხმარებელს.

პროცესი სრულად ავტომატიზებულია და არ საჭიროებს დამატებით ადამიანური რესურსის ჩარევას.

სისტემაში გათვალისწინებულია დამატებითი „ქვე მომხმარებლების“ შექმნა და მათზე გარკვეული როლების დაკისრება. აღნიშნული ფუნქციით სარგებლობის უფლება აქვს, მხოლოდ ძირითად მომხმარებელს, რომელიც რეგისტრირდება სერვისის მომხმარებლად, საიტზე განთავსებული აპლიკაციის (ანკეტის) შევსების შემდეგ და მომხმარებლის აქტივაციისათვის მიმართავს შემოსავლების სამსახურის შესაბამის დეპარტამენტს. აღნიშნული დეპარტამენტი, თავის მხრივ, ახდენს მომხმარებლის იდენტიფიცირებას და გააქტიურებას. ფიზიკური პირების შემთხვევაში მომხმარებლის

აქტივაციისთვის გამოიყენება „ვიდეო აქტივაცია“, რაც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირს შემოსავლების სამსახურის, ოფისებში მიუსვლელად მოახდინოს მისი მომხმარებლის იდენტიფიცირება და აქტივაცია.

სისტემის მომხმარებელს შესვლისთანავე შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს პაროლის შეცვლის ოფციით, ასევე მეტი უსაფრთხოებისთვის სისტემა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, თავად სთხოვს მომხმარებელს შეცვალოს არსებული პაროლი ახლით.

დაშვების სისტემა პარალელურად აკონტროლებს სესიებს, თითოეულ შესვლას და განხორციელებულ ოპერაციებს. თითოეული სესიის დროს ხდება გადამოწმება არის თუ არა მომხმარებელი ვალიდური.

გადამხდელის პორტალზე შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისებს თითოეულს გააჩნია დაშვების სხვადასხვა დონეები, სერვისის ფუნქციონალიდან გამომდინარე შესაძლებელია მომხმარებელს განესაზღვროს გარკვეული ფუნქციები.

მაგალითად: ანგარიშ-ფაქტურების სერვისის ფუნქციებია:

1. მიღებული და გამოწერილი ა/ფაქტურის წაკითხვა/დათვალიერება;
2. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შექმნა/რედაქტირება;
3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წაშლა;
4. შევსებული დოკუმენტის გადაგზავნა;
5. მიღებული საგადასახადო ა/ფაქტურების დადასტურება;
6. არსებული საგადასახადო ა/ფაქტურაზე კორექტირების ფაქტურის გამოწერა;
7. მიღებული საგადასახადო ა/ფაქტურების გაუქმება/უარყოფა;
8. დასრულებული ა/ფაქტურების დეკლარაციაზე მიბმა;
9. პარტნიორ კომპანიაზე ა/ფაქტურის გამოწერის მოთხოვნის გაგზავნა.

დეკლარირების სერვისში არსებული ფუნქციები განისაზღვრება თითოეული დეკლარაციის მიხედვით:

1. შევსებული დეკლარაციის დათვალიერება წაკითხვა;

2. ახალი დეკლარაციის შექმნა/რედაქტირება;
3. შევსებული (გადმოუგზავნილი) დეკლარაციის წაშლა;
4. დეკლარაციის წარდგენა გადაგზავნა.

გარკვეული მომხმარებლის დაშვება სისტემაში შესაძლებელია განისაზღვროს, მხოლოდ კონკრეტული გადასახადის დეკლარაციის წაკითხვის ფუნქციით და მიღებული საგადასახადო ა/ფაქტურის დადასტურების ფუნქციით.

შემოსავლების სამსახურის „გადამხდელის პორტალზე“ მომხმარებლის უფლებების, უსაფრთხოებისა და ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით შემუშავდა ავტორიზაციის დამატებითი მექანიზმი, ეგრეთ წოდებული „ორბიჯიანი ავტორიზაცია“. მომხმარებელს საშუალება აქვს, სურვილი მიხედვით გააქტიუროს ავტორიზაციის მექანიზმი და სისტემასთან დაკავშირებისას, სახელის და პაროლის შეყვანის შემდეგ, წინასწარ მომხმარებლის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების SMS სახით, მიიღოს ავტორიზაციის კოდი და მხოლოდ ამ კოდის მითითების შემდეგ მოახდინოს სისტემასთან აუტენტიფიკაცია.

3.3. სისტემაში ორგანიზებული მოდულები

3.3.1 მომხმარებლის პირადი გვერდი

მომხმარებლის პირადი გვერდი წარმოადგენს გადამხდელის პორტალის მთავარ გვერდს, საიდანაც მომხმარებელს ეძლევა საშუალება, თავისი შეხედულებისამებრ, მოიწყოს და მართოს პირადი სივრცე.

მომხმარებლის პირად გვერდზე მოთავსებული ძირითადი ჩანართები და სისტემის მიერ შემოთავაზებული სერვისების ჩამონათვალი. ძირითადი ჩანართები, ჩანს როგორც ძირითად, ასევე ქვე მომხმარებლების გვერდზე.

სისტემის ძირითადი ჩანართებია: სიახლე; საგადასახადო კალენდარი; ვიდეო ინსტრუქციები; დამხმარე პროგრამები; კითხვარები; WIKI; შენიშვნა;

შეტყობინების გამოწერა; ინტერნეტის სიჩქარის შემოწმება; ნდობით აღჭურვილი პირები; მომხმარებლის მართვა (აქტიურია მხოლოდ ძირითადი მომხმარებლისთვის); პირადი მონაცემები და სერვისების ჩამონათვალი.

ჩანართი „სიახლე“ - წარმოადგენს ზოგადი, ყველა ტიპის მომხმარებლისთვის, საინფორმაციო ხასიათის სიახლეების გვერდს, ამ ჩანართში ხდება საკანონმდებლო სიახლეების განთავსება, ამავე ჩანართიდან ხდება, გადასახადის გადამხდელთათვის ორგანიზებული „ღია კარის“ დღეების ჩატარების თაობაზე ინფორმაციის განთავსება და სხვა.

„საგადასახადო კალენდარი“ - ახდენს მომხმარებლის ინფორმირებას მოსალოდნელი დეკლარირების სავადო თარიღების შესახებ, მოდულს აქვს ასევე შეხსენებების მობილურ ტელეფონის ნომერზე მიღების ფუნქცია, სადაც ხდება მომხმარებლისთვის სასურველი ტელეფონის ნომრის მითითება და სისტემის მიერ დეკლარაციის სავადო თარიღის დადგომამდე ხდება შეხსენების მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, დეკლარაციის დასახელების და სავადო თარიღის მითითებით. აღნიშნული სერვისი ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელის ცოდნის დონის ამაღლებას.

„ვიდეო ინსტრუქციები“ - ჩანართში განთავსებულია სისტემის მოხმარების ამსახველი ვიდეო დახმარებები, რომელიც ორგანიზებულია შეთავაზებული სერვისების მიხედვით, აღნიშნული ვიდეო დახმარებები ეხმარება გადამხდელს მარტივად და კვალიფიციურად გამოიყენოს პორტალზე განთავსებული სერვისები.

„დამხმარე პროგრამები“ - აღნიშნულ ჩანართში განთავსებულია სამომხმარებლო, დამხმარე აპლიკაციები. ეს არის ქვე მომხმარებლებისთვის შექმნილი ცალკეული სერვისის აპლიკაცია, რომლის ინსტალირება ხდება უშუალოდ მომხმარებლის პერსონალურ კომპიუტერზე. აპლიკაციის გამოყენებით ხდება ძირითადი სერვისის გამოძახება, მონაცემების შევსება და გაგზავნა. აპლიკაციით შევსებული მონაცემები აისახება ძირითად პორტალზე.

კითხვარები - ჩანართი წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის მიერ, გადასახადის გადამხდელთა გამოკითხვის მიზნით, ორგანიზებულ კითხვართა ერთობლიობას. სხვადასხვა თემატიკის მიხედვით გადამხდელებიდან ინფორმაციის მისაღებად, ხდება ელექტრონული კითხვარის ფორმის გენერირება და განთავსება აღნიშნულ ჩანართში, რომელშიც შევსებული მონაცემები ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება შემოსავლების სამსახურისთვის.

ჩანართი „WIKI“ ასახავს შემოსვლების სამსახურის მიერ სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა საკითხებში დაგროვილი ცოდნის საცავს, რაც ეხმარება გადასახადის გადამხდელს მსგავსი ტიპის საკითხების სწორად გადაწყვეტის გზების ჩამოყალიბებაში.

ჩანართი „შენიშვნა“ - განკუთვნილია მომხმარებლებიდან პორტალის შესახებ შენიშვნების და სერვისების გაუმჯობესების მიზნით სურვილების მისაღებად.

„შეტყობინების გამოწერა“ - მოდული საშუალებას აძლევს მომხმარებელს, თავისი შეხედულების მიხედვით ორგანიზება გაუწიოს, სხვადასხვა სერვისებიდან სისტემის მიერ დაგზავნილ შეტყობინებებს, რომლებიც იგზავნება მომხმარებლის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

ინტერნეტის სიჩქარის შემოწმება - ღილაკი გამოიყენება მომხმარებლის მხარეს ინტერნეტის სიჩქარის დასადგენად, აღნიშნული ეხმარება მომხმარებელს სერვისების მიღების სიჩქარის დადგენაში.

ნდობით აღჭურვილი პირები - ჩანართში ხდება გადასახადის გადამხდელის ნდობით აღჭურვილი პირების რეესტრის წარმოება, აქვე ხდება მინდობილობის დოკუმენტის ატვირთვა, დოკუმენტის მოქმედების ვადების კონტროლით შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ რეესტრში მითითებულ პირებზე ამ კონკრეტული გადამხდელის შესახებ ცნობების და სხვა სახის ინფორმაციის გაცემას.

მომხმარებლის მართვა - ჩანართის საშუალებით ხდება ქვემომხმარებლების შექმნა/გაუქმება და მათზე უფლებების განსაზღვრა.

პირადი მონაცემები - ჩანართი განკუთვნილია ძირითადი მომხმარებლის პარამეტრების განსაზღვრისათვის, ამავე ჩანართში ხდება პაროლის ცვლილება; ორბიჯიანი ავტორიზაციის ჩართვა/გამორთვა, საკონტაქტო ტელეფონის ნომრების და ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება.

3.3.2 დეკლარირების მოდული

მოდული განსაზღვრულია საგადასახადო დეკლარაციების შესავსებად და წარსადგენად. მოდულში ელექტრონულად დეკლარირებული მონაცემების დათვალიერების; ანალიზისა და ახალი დეკლარაციების წარსადგენად. მოდულში ორგანიზებულია შემდეგი სახის ჩანართები: სტატისტიკა და დეკლარაციების წარდგენა.

სტატისტიკის ჩანართი თავის მხრივ დაყოფილია სამ სხვადასხვა შინაარსის რეესტრად, რაც უფრო მარტივს ხდის ინფორმაციის დაჯგუფებას და არსებულ მონაცემებზე კონტროლის საშუალებას. პირველ ჩანართში დაჯგუფებულია გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლოს წარდგენილი დეკლარაციები. რეესტრი მოიცავს შემდეგი სახის მონაცემებს: გადასახადის სახე, დეკლარაციის წარდგენის თარიღი, დეკლარირებული თანხა (დარიცხვა/შემცირება); საგადასახადო პერიოდი და დეკლარაციის უნიკალური ნომერი. ამავე რეესტრიდან არის კონკრეტული დეკლარაციის დათვალიერების და ბეჭდვის საშუალება.

შემდეგი ჩანართი - „გადასაგზავნი დეკლარაციები“ - ასახავს სისტემაში შენახულ და ჯერ გადაუგზავნელ დეკლარაციების ჩამონათვალს, ჩანართზე გადასვლამდე სისტემას გამოაქვს ასეთი დეკლარაციების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს და არ აძლევს საბაზს გადმოუგზავნელი, წარუდგენელი დატოვოს უკვე შევსებული დეკლარაცია.

აღნიშნულ ჩანართით ძირითადად სარგებლობენ მთავარი მომხმარებლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ქვემომხმარებლების მიერ შევსებული დეკლარაციების გადამოწმება და წარდგენა/გადაგზავნა.

მესამე ჩანართში ორგანიზებულია სრული რეესტრი, ყველა სახის და ყველა ტიპის დეკლარაციებისა. მარტივი ფილტრების გამოყენებით შესაძლებელია მომხმარებელმა მიიღოს სასურველი სტატისტიკა მის პორტალზე არსებული დეკლარაციების თაობაზე.

სისტემაში არსებულ ყველა რეესტრზე არის მონაცემების ბეჭდვის და ექსპორტის საშუალება.

დეკლარაციების შევსების და წარდგენის გვერდზე განთავსებულია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით განსაზღვრული დეკლარაციების და გაანგარიშებების ფორმები.

სისტემაში დეკლარაციების ფორმები დაჯგუფებულია წარდგენის ვალდებულებების მიხედვით. ყოველთვიური, კვარტალური, ყოველწლიური და ლიცენზიის მიხედვით წარსადგენი დეკლარაციები. სულ სისტემაში ორგანიზებულია 43 სახის დეკლარაციის ფორმა, რომელთა გენერაცია გადამხდელის გვერდზე ხდება საგადასახადო პერიოდის, გადამხდელის სამართლებრივი ფორმის, მისი სტატუსების და რეგისტრაციის მიხედვით. საგადასახადო პერიოდის მიხედვით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო, ხდებოდა დეკლარაციის ფორმების ცვლილება, წინა საგადასახადო პერიოდზე კი გადამხდელი ვალდებულია წარადგინოს იმ დროისთვის მოქმედი დეკლარაციის ფორმა, ამიტომ სისტემა ითვალისწინებს ყველა ცვლილებას.

მაგალითად დამატებითი ღირებულების გადასახადის ფორმის წარდგენის ვალდებულება აქვთ, მხოლოდ საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც გაივლის დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო ან ნებაყოფლობით

რეგისტრაციას. რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშვა პირს, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს.

ყოველთვიურად წარსადგენი დეკლარაციების ფორმებია:

- დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაცია;
- უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ს დეკლარაცია;
- გადასახადის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია;
- ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ;
- აქციზის გადასახადის დეკლარაცია;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება;
- თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციაზე გადასახადის გაანგარიშება;
- სპეციალური ნავთობის საგადასახადო ანგარიშ ფაქტურების წარსადგენი დანართი N7;
- ხე-ტყის საგადასახადო ანგარიშ ფაქტურების წარსადგენი დანართი N3;
- ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრის შესახებ;

ყოველწლიური დეკლარაციების ფორმები:

- მოგების გადასახადის წლიური დეკლარაცია;
- საწარმო/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;
- ამხანაგობის მიერ მიღებული მოგების (ზარალის) განაწილების შესახებ დეკლარაცია;

- საგადასახადო აგენტის ინფორმაცია არარეზიდენტისათვის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის გადახდისგან განთავისუფლებაზე ან შემცირებაზე (ფორმა N1);
- ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება;
- ინფორმაცია საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ;

საგადასახადო პერიოდის მიხედვით, სისტემა აგენერირებს იმ პერიოდისთვის მოქმედ, კანონმდებლობით განსაზღვრულ, დეკლარაციის ფორმას, ამისათვის სისტემაში გაწერილია გადასახადის სახეების და საგადასახადო პერიოდების მიხედვით დეკლარაციის შესაბამისი ფორმების ვერსიები.

ცხრილი №6 ყოველთვიურად წარსადგენი დეკლარაციების ვერსიები

გადასახადის სახე	ვერსია	საგადასახადო პერიოდი	
		ძალაში შესვლის თარიღი	ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი
დღგ-ს გადასახადი	1	2005-იანვარი	2008-დეკემბერი
დღგ-ს გადასახადი	2	2009-იანვარი	2010-სექტემბერი
დღგ-ს გადასახადი	3	2010-ოქტომბერი	2010-დეკემბერი
დღგ-ს გადასახადი	4	2011-იანვარი	2015-ივნისი
დღგ-ს გადასახადი	5	2015-ივლისი	მოქმედი
აქციზის გადასახადი	1	2005-იანვარი	2012-ნოემბერი
აქციზის გადასახადი	2	2012-დეკემბერი	2015-ივნისი
აქციზის გადასახადი	3	2015-ივლისი	2015-ნოემბერი
აქციზის გადასახადი	4	2015-დეკემბერი	მოქმედი
დღგ-ს უკუდაბეგვრის გადასახადი	1	2007-იანვარი	2012-ივლისი
დღგ-ს უკუდაბეგვრის გადასახადი	2	2012-აგვისტო	მოქმედი
თვის საშემოსავლო გადასახადი	1	2007-იანვარი	2010-დეკემბერი
თვის საშემოსავლო გადასახადი	2	2011-იანვარი	2012-აპრილი
თვის საშემოსავლო გადასახადი	3	2012-მაისი	2015-ივნისი
თვის საშემოსავლო გადასახადი	4	2015-ივლისი	2015-ნოემბერი
თვის საშემოსავლო გადასახადი	5	2015-დეკემბერი	მოქმედი

ცხრილი № 7 ყოველწლიურად წარსადგენი დეკლარაციების ვერისიები

გადასახადის სახე	ვერისია	საგადასახადო პერიოდი	
		ძალაში შესვლის თარიღი	ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი
მოგების გადასახადი	1	2005 წელი	2006 წელი
მოგების გადასახადი	2	2007 წელი	2007 წელი
მოგების გადასახადი	3	2008 წელი	2010 წელი
მოგების გადასახადი	4	2011 წელი	2012 წელი
მოგების გადასახადი	5	2013 წელი	მოქმედი
მიწის გადასახადი	1	2007 წელი	2008 წელი
მიწის გადასახადი	2	2009 წელი	
საწარმოთა ქონების გადასახადი	1	2005 წელი	2006 წელი
საწარმოთა ქონების გადასახადი	2	2007 წელი	2008 წელი
საწარმოთა ქონების გადასახადი	3	2009 წელი	2012 წელი
საწარმოთა ქონების გადასახადი	4	2013 წელი	მოქმედი
სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი	1	2005 წელი	2006 წელი
სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი	2	2007 წელი	2008 წელი
სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი	3	2009 წელი	2010 წელი
სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი	4	2011 წელი	მოქმედი
წლიური საშემოსავლო გადასახადი	1	2008 წელი	2010 წელი
წლიური საშემოსავლო გადასახადი	2	2007 წელი	2007 წელი
წლიური საშემოსავლო გადასახადი	3	2011 წელი	2014 წელი
წლიური საშემოსავლო გადასახადი	4	2015 წელი	მოქმედი

საგადასახადო დეკლარაცია არის პირის ანგარიშგება საგადასახადო კოდექსით დადგენილ გადასახადის გამოანგარიშების შესახებ. საგადასახადო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება

ხორციელდება სრულ ლარებში. ამ მიზნით 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება ნულდება. თუ პირი არ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას, ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი თანხა ნოლის ტოლია. ამ საანგარიშო პერიოდზე შემდგომ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება. საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს, მის შევსებისა და ელექტრონულად დეკლარირების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. იმ შემთხვევაში თუ პირი მის მიერ უკვე წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია მოახდინოს ჩასწორებული (დაზუსტებული) საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა. შესწორებული საგადასახადო დეკლარაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად, თუ იგი საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ამ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე.

იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზეც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღრიცხვა განახორციელოს შემოწმებული დეკლარაციის მიხედვით. ელექტრონულად ასეთი დეკლარაციის წარდგენისას ხორციელდება კონტროლი, რის შესახებ ხდება პორტალის მომხმარებლის ინფორმირება, დეკლარაცია არ აისახება გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე მასში წარმოდგენილი მონაცემების, სათანადო სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის, შემოწმების გარეშე. რომელსაც როგორც ზევით აღვნიშნეთ აქვს უფლება არ მიიღოს გადამხდელის მიერ ჩასწორებული დეკლარაცია და აღრიცხვა განახორციელოს საგადასახადო შემოწმების მიხედვით.

საგადასახადო კოდექსით, წლიური საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადას გაგრძელება

დასაშვებია 3 თვით, თუ პირს გადახდილი აქვს დასადეკლარირებელი პერიოდის მიმდინარე გადასახდელები (ან არ აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება) და საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე საგადასახადო ორგანოს მომართავს, სათანადო ელექტრონული განცხადებით, ვადის გაგრძელების თაობაზე. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებით არ იცვლება გადასახადის გადახდის ვადა. სისტემაში უზრუნველყოფს კავშირს ელექტრონულად წარდგენილ განცხადებასა და საგადასახადო დეკლარაციას შორის, რაც გამოიხატება შემდეგში. ასეთი ტიპის განცხადებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში პირს ეძლევა საშუალება წარადგინოს წლიური დეკლარაცია 3 თვის შემდეგ, მის მიერ წარდგენილი დეკლარაცია არ განიხილება სისტემის მიერ როგორც დაგვიანებული და არ განხორციელდება მასზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ვალდებულება.

სხვა შემთხვევაში დაგვიანებით წარდგენილი დეკლარაციები საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად ექვემდებარება დამატებით ფინანსური სანქციის შეფარდებას. სისტემა დაგვიანებულად წარდგენილ დეკლარაციებს ასახავს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე და განსახილველად წარუდგენს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად სისტემაში განსაზღვრულია ცალკეული დეკლარაციების წარდგენის სავადო თარიღები. საგადასახადო დეკლარაციის წარსადგენად მომხმარებელი ირჩევს გადასახადის სახეს, საგადასახადო პერიოდს, რომლის დადეკლარირებაც სურს, რის მიხედვითაც სისტემა აგენერირებს შესავსები ფორმების ერთობლიობას. სისტემაში გათვალისწინებულია რეესტრის სახის მონაცემების ატვირთვის საშუალება, ატვირთული მონაცემების შემოწმება და მონაცემთა ბაზაში ასახვა, წინასწარ განსაზღვრული ფორმატით. ასევე დეკლარაციის შევსებისას გათვალისწინებულია ყველა, კანონმდებლობით განსაზღვრული,

კონტროლები და გამოთვლები, რაც ეხმარება მომხმარებელს საგადასახადო დეკლარაციების სწორად შევსებაში.

საგადასახადო დეკლარაციები შედგება მთავარი დეკლარაციის გვერდისგან და დეკლარაციის დანართებისგან, ეს უკანასკნელი მეტად მნიშვნელოვანია დეკლარაციის შევსებისას და საგადასახადო ვალდებულებების დადგენისათვის. რიგ შემთხვევაში, სწორედ დეკლარაციის დანართებიდან ხდება საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა, ამიტომ სისტემაში მკვეთრად არის განსაზღვრული დანართებთან კავშირი.

დღ-ს დეკლარაციის დანართები წარმოადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და საბაჟო დეკლარაციების რეესტრებს, რომლებსაც გადასახადის გადამხდელი, ისევე როგორც დეკლარაციებს აწარმოებს ელექტრონულად - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს - პორტალზე განთავსებული სერვისის საშუალებით, ხოლო საბაჟო დეკლარაციებს „საბაჟო დეკლარირების“ პორტალის დახმარებით (<http://asycuda.rs.ge>).

საგადასახადო დეკლარაციის / გაანგარიშებების სწორად შევსების შემდეგ ხდება მათი საგადასახადო ორგანოში წარდგენა/გადაგზავნა. დეკლარაციის წარმატების გადაგზავნის შემთხვევაში სისტემის მერ მას ენიჭება უნიკალური ნომერი, იცვლება დეკლარაციის სტატუსი და დეკლარირებული თანხა აისახება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე. წარმატებულად გადაგზავნილი დეკლარაციის თაობაზე პორტალის მომხმარებლის ინფორმირება ხდება, უშუალოდ გადაგზავნის მომენტში - ეკრანზე გამოტანილი კონტექსტური ფანჯრით, სადაც სისტემის მიერ დაგენერირებული დეკლარაციის უნიკალური ნომერია მითითებული, ასევე მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერზე იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება - გადასახადის სახის, დეკლარაციის უნიკალური ნომრის, დეკლარაციის წარდგენის თარიღის და დეკლარირებული თანხის მითითებით, რაც წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ დეკლარირება განხორციელდა წარმატებით. სისტემის უპირატესობა ასევე მდგომარეობს იმაში რომ დეკლარირებული თანხა ავტომატურად აისახება საგადასახადო

ვალდებულების დასაანგარიშებელ დოკუმენტზე - გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, ხდება საგადასახადო ვალდებულები დადგენა და მომხმარებელს აქვს საშუალება დროულად იყოს ინფორმირებული წარმოშობილი ვალდებულების თაობაზე.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსებისას სისტემა იყენებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ სერვისს. სერვისის საშუალებით ხდება ფიზიკური პირის და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების შესახებ ინფორმაციის მიღება (ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი და სხვა). აღნიშნული დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება წარმოეშვებათ ფიზიკურ პირებს, თუ მათი და მათი ოჯახის წევრების შემოსავალი გასული წლის მიხედვით შედგენდა 40 000 ლარზე მეტს, ან პირებს, თუ მათი და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, მაგრამ მათ საკუთრებაში, სარგებლობაში ან მფლობელობაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი, ასევე, ქირით, იჯარით, უზუფრუქტით და სხვა ამგვარი ფორმის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული აქვთ მიწის ნაკვეთი.

იმ შემთხვევაში თუ პირს წინა წელს ეკუთვნოდა და წარმოდგენილი ქონდა „ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია“, მაგრამ მისი და მისი ოჯახის წევრების წლიური შემოსავალი გასულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით არ აღემატებოდა 40 000 ლარს ან/და არ გააჩნია დასაბეგრი ქონება ან/და მისი ოჯახის წევრს მიერ უკვე წარდგენილია საოჯახო ტიპის დეკლარაცია, პირი ვალდებულია აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის თაობაზე, რათა სისტემის მიერ არ განხორციელდეს დარიცხვა წინა წელს წარმოდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. ამისათვის სისტემაში, ამავე დეკლარაციის ჩანართიდან მარტივად ხორციელდება განცხადების წარდგენის სერვისი, რაც იწვევს ავტომატური დარიცხვის მეთოდის შეჩერებას.

„ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია“-ის წარმატებით გადაგზავნის შესახებ, სისტემა ისევე როგორც სხვა

დეკლარაციების წარდგენისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აგზავნის შესაბამის მესიჯებს, ეკრანზე და მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერზე, აღნიშნული დეკლარაციის წარდგენის თაობაზე სისტემის მიერ გენერირდება და გადამხდელის „შეტყობინებები“-ს ჩანართში იგზავნება საგადასახადო მოთხოვნა. საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელის შესრულებაც სავალდებულოა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულ დოკუმენტში ხდება, წარდგენილი დეკლარაციის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გამოანგარიშება. წარდგენის კონკრეტული საფუძვლით პირს წარედგინება მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა. საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან. ამ მოთხოვნის მარტივად შესრულების მიზნით, გადამხდელის პორტალზე შესაძლებელია, საგადასახადო მოთხოვნის მიღებასთან ერთად პირმა განახორციელოს ელექტრონული გადახდა, პლასტიკური ბარათის გამოყენებით. ამისათვის გადამხდელის პორტალი იყენებს კომერციული ბანკების („ქართუ ბანკი“; „ლიბერთი ბანკი“; Ipay.ge) მიერ მოწოდებულ ელექტრონულ სერვისს, რომლსაც პარამეტრად გადასცემს საგადასახადო დავალების ფორმირებისთვის საჭირო ყველა მონაცემს, გადამხდელის პირადი ნომერი, სახელი გვარი, გადასახადის სახე, სახაზინო კოდი და გადასარიცხი თანხის ოდენობა.

3.3.3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოდული

დამატებითი ღირებულების გადამხდელებისათვის პორტალზე ფუნქციონირებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მოდული. მოდული თავისი შინაარსით მჭიდროდ არის დაკავშირებული დეკლარირების მოდულთან. გადასახადის გადამხდელი დღგ-ს დეკლარაციის შევსებისას ვალდებულია დაადეკლაროს, დანართების სახით, დაბეგვრაზე და ჩათვლაზე წარსადგენი დოკუმენტები.

სისტემაში ორგანიზებულია შემდეგი სახის ჩანართები: ახალი ა/ფაქტურის შევსება; მომხმარებლის მიერ გამოწერილი ა/ფაქტურების რეესტრი; მიღებული ა/ფაქტურების რეესტრი; გაუქმებული ა/ფაქტურების რეესტრი; საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნის გაგზავნის მოდული; შაბლონის წარმოების ჩანართი. სისტემა ითვალისწინებს, მომხმარებლის მხრიდან, ა/ფაქტურის წარმოების პროცესზე სწრაფად რეაგირებისათვის და უფრო მეტი ინფორმირებისათვის, შეტყობინებების გენერირებას ა/ფაქტურის რაოდენობის მითითებით.

სტატუსი	ID	სურათი №	ჩვეულება	გამოწერის თარიღი	დასრულების თარიღი	საბანკო	რაოდენობა	დღე ჩაბანკი	დასრულების თარიღი	ფაქტურა №	ტვირთვა/დამუშავება	ჩვეულების ტვირთვა/დამუშავება
დადასტურებული	85487427	ა-36 1875486	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 18:32	მაისი-2016	111.00	100	16.93	17-მაის-2016 18:33	სოკარი		
გადაგზავნილი	85484935	ა-36 1875387	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 17:54	მაისი-2016	23.80	4	3.60		ანი		
დადასტურებული	85485014	ა-36 1875386	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 17:50	მაისი-2016	155.40	140	23.71	17-მაის-2016 17:51	სოკარი		
დადასტურებული	85481674	ა-36 1875384	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 17:05	მაისი-2016	333.00	300	50.80	17-მაის-2016 17:06	სოკარი		
დადასტურებული	85480761	ა-36 1875270	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:55	მაისი-2016	277.50	250	42.33	17-მაის-2016 16:55	სოკარი		
დადასტურებული	85480084	ა-36 1875269	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:51	მაისი-2016	222.00	200	33.86	17-მაის-2016 16:52	სოკარი		
დადასტურებული	85478584	ა-36 1875268	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:42	მაისი-2016	282.50	250	43.09	17-მაის-2016 16:42	სოკარი		
დადასტურებული	85478580	ა-36 1875267	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:42	მაისი-2016	249.75	225	38.10	17-მაის-2016 16:42	სოკარი		
დადასტურებული	85478570	ა-36 1875266	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:41	მაისი-2016	149.85	135	22.86	17-მაის-2016 16:41	სოკარი		
დადასტურებული	85478022	ა-36 1875264	(12345678910-დან) სადგურ/2 სადგური	17-მაის-2016 16:29	მაისი-2016	333.00	300	50.80	17-მაის-2016 17:37	სოკარი		
						4,061,304,486.181,316,272.0200	619,508,742.66					

სურათი №3 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მოდული

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შექმნისას სისტემა ახორციელებს კონტროლს დღე-ს გადამხდელის რეგისტრაციის თარიღზე, რომლის მიხედვით ა/ფაქტურის გამოწერის შესაძლებლობა ეძლევა მომხმარებელს, მხოლოდ იმ პერიოდზე რა პერიოდშიც ის იმყოფებოდა დღე-ს აქტიურ გადამხდელად, წინააღმდეგ შემთხვევაში ა/ფაქტურის ფორმის გახსნისას სისტემას გამოაქვს სათანადო შეტყობინება.

საგადასახადო ა/ფაქტურის ფორმის შევსება ითვალისწინებს მატრიცულ ცხრილებს. რეალიზებული საქონლის შესახებ მონაცემები - ეს არის რეესტრი, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს საქონლის/მომსახურების

დასახელება; საქონლის კოდი; ზომის ერთეული (სისტემაში წინასწარ განსაზღვრული ცვლადები); მიწოდებული საქონლის რაოდენობა; საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით; დღგ-ს თანხა; აქციზის თანხა. სასაქონლო ზედნადების შესახებ მონაცემები, რომელიც ასევე წარმოადგენს იმ დოკუმენტების რეესტრს რის საფუძველზეც განხორციელდა საგადასახადო ა/ფაქტურის გამოწერა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ელექტრონული სასაქონლო ზედნადების მოდულის არსებობისას შესაძლებელი გახდა ამ ორი მოდულის ურთიერთ დაკავშირება და მონაცემების გენერირება არსებული საწყისი დოკუმენტის საფუძველზე. ასეთმა მიდგომამ გამორიცხა შეცდომების არსებობის ალბათობა და გაამარტივა ა/ფაქტურის წარმოების პროცესი.

ა/ფაქტურის წარმოების პროცესი ითვალისწინებს ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობას, კერძოდ აღნიშნული დოკუმენტის გამოწერაში ჩართულია ორი პარტნიორი კომპანია: გამყიდველი და მყიდველი. რადგან აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს მასში მითითებული მონაცემების სისწორის დადასტურება უწევს მყიდველს, რომელიც ასევე უნდა წარმოადგენდეს გადამხდელი პორტალის მომხმარებელს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, სისტემა საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს იქონიონ წვდომა მის პარტნიორ კომპანიების პირად მონაცემებზე, კერძოდ საკონტაქტო პირის მობილური ტელეფონის ნომერზე.


ა/ფაქტურის სწორად გამოწერის შემდეგ, მომხმარებელი ახდენს დოკუმენტის გადაგზავნას პარტნიორ კომპანიის პორტალზე, სწორედ ამ დროს დოკუმენტს ენიჭება, გადამხდელის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით წინასწარ განსაზღვრული სერია და უნიკალური ნომერი.

ცხრილი №8

ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სერიის
ნომენკლატურა

	საგადასახადო ორგანოს დასახელება	განმსაზღვრელი კოდი
1	მსხვილ გადამხდელის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელები	01, 02, 03. 07, 08, 09, 11, 12
2	თბილისის სერვის ცენტრები	05, 06, 04, 13, 14, 16
3	თელავის სერვის ცენტრი	10
4	ქუთაისის სერვის ცენტრი	15
5	ფოთის სერვის ცენტრი	27
6	გორის სერვის ცენტრი	36
7	რუსთავის სერვის ცენტრი	40
8	ოზურგეთის სერვის ცენტრი	48
9	ახალციხის სერვის ცენტრი	53
10	ბათუმის სერვის ცენტრი	70

დოკუმენტის მიმღები მხარე, პორტალზე იღებს შეტყობინებას დასადასტურებელი ა/ფაქტურების არსებობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტში ყველა მონაცემი სწორია მყიდველი ახორციელებს ა/ფაქტურის დადასტურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აკეთებს დოკუმენტის უარყოფას, რის შემდეგ დოკუმენტი ცვლილებებისთვის გადაეგზავნება კვლავ გამომწერ კომპანიას.



ნახაზი №19 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის პროცესუალური დიაგრამა

გამოწერილი და მყიდველის მიერ დადასტურებული ა/ფაქტურაში ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია. მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება უკვე დადასტურებულ ფაქტურაზე კორექტურების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

კორექტირების ა/ფაქტურის გამოწერის მიზეზი შეიძლება გახდეს შემდეგი: გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია; შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე; ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა; საქონელი (მომსახურება) სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება გამყიდველს.

კორექტირების ა/ფაქტურა ისევე როგორც ჩვეულებრივი საგადასახადო ა/ფაქტურა საჭიროებს მყიდველის მხრიდან დადასტურებას ისიც გაივლის იმავე გზას რასაც ჩვეულებრივ ა/ფაქტურა. სისტემაში კავშირი პირველად და

კორექტირების ფაქტურას შორის შენარჩუნებულია. კორექტირების ა/ფაქტურას ენიჭება „ეკ“ სერია და უნიკალური ნომერი.

ა/ფაქტურის გამოწერის პროცესის თანმიმდევრობის გათვალისწინებით საგადასახადო ა/ფაქტურის აქვს შემდეგი სახის სტატუსები: გადასაგზავნი; გადაგზავნილი; დადასტურებული; უარყოფილი; დეკლარაციაზე მიბმული; გაუქმებული; პირველადი; კორექტირებული; წაშლილი.

გამყიდველიდან მიღებულ ა/ფაქტურებს გააჩნია შემდეგი სტატუსები: დასადასტურებელი; დადასტურებული; უარყოფილი; პირველადი; კორექტირებული და გაუქმებული.

იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს უწევს ერთიდაიგივე პროდუქციის ან ერთიდაიგივე პარტნიორ კომპანიასთან საქონლის რეალიზაცია და ერთი შინაარსის ა/ფაქტურის დოკუმენტის შედგენა სისტემაში გათვალისწინებულია „შაბლონი“ დოკუმენტის წარმოება. ამ ჩანართში შესაძლებელია განთავსდეს ყველა შაბლონურად შევსებული ა/ფაქტურა, რომელის გამოყენება, გადაგზავნა მყიდველთან, შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში დამატებით, აქვე დასაშვებია რამდენიმე შაბლონის ერთდროულად გაგზავნა მყიდველთან და არსებულ შაბლონში ცვლილებების განხორციელება. შაბლონების რაოდენობა სისტემაში შეზღუდული არ არის. ამიტომ მისი დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევისთვის გათვალისწინებული საძიებო მოდული. სხვადასხვა პარამეტრებით სასურველი შაბლონის დოკუმენტის მოძებნა საკმაოდ მარტივად ხორციელდება.

ჩანართი ა/ფაქტურის მოთხოვნა - კანონმდებლობა ითვალისწინებს მყიდველის მიერ საგადასახადო ა/ფაქტურის მოთხოვნაზე გამყიდველის სავალდებულო რეაგირებას, კერძოდ მოთხოვნის მიღებიდან 90 დრის ვადაში გამყიდველი ვალდებულია გამოწეროს საგადასახადო ა/ფაქტურა. სწორედ ამ პროცესის ავტომატიზაციას ითვალისწინებს აღნიშნული ჩანართი.

გაგზავნილი ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნა

ნახვა / 13-აპრ-2016 20:51 შექმნა / 11-აპრ-2016 00:44

ძირითადი ინფორმაცია

ოპერაციის თვე: აპრილი მყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება: 206322102 სატესტო კოდი1

ოპერაციის წელი: 2016 გამყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება: 1234567891C სატესტო12 სატესტო დღგ-ს გადამხდელი

№	ზედნაღების №	ზედნაღების ტიპი	გამოწერის თარიღი	აქტივაციის ტრანსპორტირების თარიღი	თანხა	
1	0230741386	ტრანსპორტირებით	07-აპრ-2016 11:40:33	07-აპრ-2016 11:40:33	1150	✖
2	0230739518	ტრანსპორტირებით	07-აპრ-2016 11:33:50	07-აპრ-2016 11:33:50	1150	✖
3	0230640387	ტრანსპორტირებით	06-აპრ-2016 19:48:12	06-აპრ-2016 19:47:21	1462	✖
4	0230539941	ტრანსპორტირებით	06-აპრ-2016 13:07:58	06-აპრ-2016 13:07:58	1150	✖
5	0230594110/1	ძვირ-ზედნაღები	06-აპრ-2016 16:49:52	06-აპრ-2016 16:49:52	6	✖

ჯამი: 4,918.00

10 ნაანაწერი / 1 გვერდი წინა 1 შემდეგი ექსპორტი

ზედნაღების დამატება

მყიდველის შეტყობინება

შეტყობინების გადაგზავნა

გამყიდველის შეტყობინება

აღფაქტურის მოთხოვნის რედაქტირება
წაშლა
ბეჭდვა

სურათი №4 გაგზავნილი ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნა

მოთხოვნის ფორმა ითვალისწინებს შემდეგ ველებს: ოპერაციის თვე; ოპერაციის წელი; მყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება; გამყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება; სასაქონლო ზედნაღების ნომერი; ზედნაღების ტიპი; გამოწერის თარიღი; აქტივაციის ტრანსპორტირების თარიღი; თანხა. საგულისხმოა, თავდაპირველად მონაცემების შევსება ხდებოდა ხელით, ქალაქდური სასაქონლო ზედნაღების ნომრების მითითებით, ელექტრონული სასაქონლო ზედნაღების არსებობის შემთხვევაში გამყიდველის საიდენტიფიკაციო ნომრის და პერიოდის მითითების შემდეგ, სისტემა აყალიბებს ამ ორ კომპანიას შორის მითითებულ პერიოდში გამოწერილ სასაქონლო ზედნაღების რეესტრს, საკმარისია მხოლოდ ზედნაღების ნომრის არჩევა და დანარჩენი ველები ივსება ავტომატურად. შევსებული მოთხოვნა იგზავნება პარტნიორ

კომპანიასთან. მოთხოვნის შემდგენლის შემდეგ მომხმარებელს აქვს საშუალება თვალყური ადევნოს მის მოთხოვნას, კერძოდ ჩანართში არსებულ რეესტრის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე გაეცნო თუ არა მის მოთხოვნას პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი.

სისტემა ასევე ითვალისწინებს ა/ფაქტურის ავტომატურ დადასტურებას, დიპლომატის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირების მიერ მოთხოვნილი ა/ფაქტურის შედგენისას ხდება მათი სააკრედიტაციო ბარათის გადამოწმება, რის საფუძველზეც ხდება ისეთ პირზე ა/ფაქტურის გამოწერა, რომელიც არ არის პორტალის მომხმარებელი და ვერ განახორციელებს ელექტრონული დოკუმენტის მიღება/დადასტურებას პორტალის საშუალებით. ამიტომ, ასეთ პირებზე გამოწერილ საგადასახადო ა/ფაქტურის დადასტურება ხორციელდება ავტომატურად.

დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საგადასახადო ორგანოში წარსადგენად, ხდება მათი დეკლარაციის დანართებზე მიბმა, ამისათვის გადამხდელი „დადასტურებული“ და „დეკლარაციაზე მისაბმელი“ ა/ფაქტურების რეესტრიდან ირჩევს საგადასახადო პერიოდის მიხედვით ა/ფაქტურების სიმრავლეს და ახორციელებს დეკლარაციაზე მიბმას, ამ როს სიტემის მიერ ხება შემოწმება, აღნიშნულ პერიოდზე დღგ-ს დეკლარაციის არსებობის შემთხვევაში ა/ ფაქტურები ავტომატურად ებმება გადმოუგზავნელ დეკლარაციას ან იქმნება ახალი დღგ-ს დეკლარაცია რომლის შესაბამის დანართებში ხდება ა/ფაქტურების სიმრავლის ასახვა.

3.3.4. ნავთობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოდული

ისევე როგორც, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოდული ნავთობის საგადასახადო ა/ფაქტურის მოდულიც დაკავშირებულია დეკლარაციის მოდულთან, და ითვალისწინებს ნავთობის პროდუქტების რეალიზაციისას აუცილებლად გამოსაწერი დოკუმენტის, რომელიც ასევე წარმოადგენს ტრანსპორტირების დოკუმენტს.

მისი წარმოების პროცესში, ისევე როგორც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოებისას ურთიერთობს ორი კომპანია, რაც ნიშნავს იმას რომ სისტემაში ერთ დოკუმენტზე წვდომა აქვს ორ მომხმარებელს, მისი წარმოების პროცესის გარკვეულ ეტაპებზე, ა/ფაქტურის სტატუსების მიხედვით.

ნავთობის საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის შედგენა ხდება სხვადასხვა მიზნებისთვის, რაც განსაზღვრავს მის ტიპებს:

საცალო მიწოდებისთვის;

საბითუმო მიწოდებისთვის;

შიდა გადაზიდვისთვის;

იმპორტირებისას დასაწყობის ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის;

ექსპორტისას დასაწყობების ადგილიდან ტრანსპორტირებისთვის.

სწორედ ზემოთ მოყვანილი ტიპები განსაზღვრავს ნავთობის ა/ფაქტურის სერიას : „ეა“ ; „ეს“; „ემ“.

დოკუმენტის შევსება წარმოებს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით, სისტემა იყენებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საქონლის ნომენკლატურას და აქციზის განაკვეთების რეესტრს, გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს, კერძოდ სტაციონალური ობიექტების შესახებ მონაცემებს, ასევე სამოქალაქო რეესტრის სერვის, ავტომობილის მძღოლის ვინაობის განსაზღვრისათვის.

ნავთობის ა/ფაქტურის დადასტურების შემდეგ ხდება ტრანსპორტირების თარიღის განსაზღვრა და ამით დოკუმენტის გააქტიურება. გააქტიურებული ნავთობის ა/ფაქტურის კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, ექსპორტ-იმპორტის ტიპის ნავთობის ა/ფაქტურის გამოწერისას კონტროლს დოკუმენტის სისწორეზე ახორციელებს საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც ამოწმებს სისწორეს და ელექტრონულად ადასტურებს დოკუმენტს.

ზემოთ აღწერილი პროცესის გავლის შემდეგ შესაძლებელია დასრულებული დოკუმენტის დამატებითი ღირებულების დეკლარაციის დანართში ასახვა. რისი განხორციელებაც შესაძლებელია ამავე მოდულის გამოყენებით ა/ფაქტურების რეესტრის მონიშვნით და შესაბამის დეკლარაციაზე მიბმით.

3.3.5. სასაქონლო ზედნადების მოდული

სასაქონლო ზედნადების გამოწერა სავალდებულოა სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას-მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს სასაქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს). სწორედ ამიტომ პორტალზე განთავსებული სერვისი, ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი სერვისია მომხმარებლებისათვის. სასაქონლო ზედნადების ერთობლიობიდან ხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და შემდგომ მისი დეკლარირება.

სასაქონლო ზედნადები არის შემდეგი ტიპის:

შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადები;

დისტრიბუციის სასაქონლო ზედნადები;

ტრანსპორტირების სასაქონლო ზედნადები;

ტრანსპორტირების გარეშე სასაქონლო ზედნადები;

უკან დაბრუნების სასაქონლო ზედნადები.

ასევე განასხვავებენ ხე-ტყის კატეგორიის სასაქონლო ზედნადებს, რომლის გამოწერა სავალდებულო ხე-ტყის გადაზიდვისას. ასეთი ზედნადებისთვის სისტემაში წინასწარ განსაზღვრულია საქონლის რეესტრი,

რომლის შემთხვევაშიც უნდა გამოიწეროს აღნიშნული კატეგორიის ზედნადები.

ცხრილი №9 ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების საქონლის ნომენკლატურა

ხე-ტყის ტიპი	აღწერა
მრგვალი ხე-ტყე (მორი)	ხე-ტყის ან ხე/მცნარის დამზადების შედეგად(მათ შორის , მოთხრილ-მოტეხილისგან) მიღებული, 12 სმ-ზე მეტი (წვრილი ბოლოდან) დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი
ფიცარი	სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი განიერი და ორი ვიწრო გვერდი
ძელი	სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი
ძელაკი	მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე
შპალი	დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი
საპარკეტე ფრიზა	მცირე ზომის ნამზადი, რომლის შემზომისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი
შავად ნამზადი დეტალი	გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნამზადი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება სასურველი სახის დეტალი

ფანერა (შპონი)	სპეციალურ დაზღა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი
დაპობილ-დაჩეხილი სათბობი შეშა	თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებული ხე-მცენარეები, მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობები (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა)
ხე-მცენარე	ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყე (მორი) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყე

ზედნადების შედგენაში ძირითადად მონაწილეობას იღებს ორი კომპანია, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სხვა გადამზიდავი კომპანიის დახმარებით, მესამე კომპანიაც ხდება ზედნადების გამოწერის პროცესის მონაწილე.

სისტემა ითვალისწინებს თითოეული მომხმარებლისთვის საჭირო ცნობარების არსებობას. მომხმარებელს წინასწარ აქვს შესაძლებლობა სისტემაში ატვირთოს საქონლის სრული ჩამონათვალი შტრიხკოდების მითითებით და იმ ავტო სატრანსპორტო საშუალებების რეესტრი მძღოლების მითითებით, რომელსაც იყენებს საქონლის გადაადგილებისთვის, აღნიშნული რეესტრების არსებობა უფრო მარტივს და მოსახერხებელს ხდის პორტალზე ზედნადების შევსების პროცესს.


სასაქონლო ზედნადების ნომრის მინიჭება ხორციელდება დოკუმენტის სრულად შევსების და მყიდველთან გადაგზავნისას, ამ დოკუმენტის წარმოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მისი გააქტიურების, ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითება. სისტემაში გათვალისწინებულია წინასწარ განსაზღვრულ დროს ზედნადების გააქტიურების სერვისი. მესამე პირის - გადამზიდავი კომპანიის არსებობის

შემთხვევაში, აღნიშნული დორის მითითება ხდება სწორედ ამ კომპანიის მიერ. რომლის პორტალზე ჩნდება ყველა ის სასაქონლო ზედნადები, რომელიც შევსებულია და მზადაა ტრანსპორტირებისათვის.

რადგან აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შედგენის წინა პირობას მასში გათვალისწინებულია ასევე ის მოთხოვნები, რომელიც აუცილებელია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესავსებად, კერძოდ კონტროლი დღ-ს გადამხდელზე; დასაბეგრი ოპერაციის განსაზღვრა დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის დასაანგარიშებლად და სხვა.

დისტრიბუციის სასაქონლო ზედნადების გამოწერისას, ხდება ძირითადი ზედნადების შედგენა გამყიდველი მიერ, რომელშიც მითითებული არ არის მყიდველის ვინაობა, მითითებულია მხოლოდ იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რაც განთავსებულია დისტრიბუციის მანქანაზე და მითითებულია დისტრიბუციის დაწყების დრო. შემდეგ დისტრიბუტორის მიერ ბორტიდან სპეციალური მოწყობილობის „პოკეტი“-ს დახმარებით ხორციელდება ძირითადი ზედნადების საფუძველზე ქვეზედნადებების გამოწერა, სადაც უკვე ეთითება კონკრეტული საქონლის მიმღები, და იმ საქონლის ჩამონათვალიდან, რომელიც მითითებულია ძირითად ზედნადებზე, საქონლის განაშთვა, სისტემა უზრუნველყოფს კონტროლს საქონლის რაოდენობასა და მითითებულ ერთეულის ფასზე. სისტემის ასეთი სახით ორგანიზება ხელს უწყობს მომხმარებელს მისი საქმიანობის განხორციელებაში.

ვადაგასული საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, პროდუქციის მიმღები კომპანია ვალდებულია გამოწეროს უკან დაბრუნების სასაქონლო ზედნადები. აღნიშნული ზედნადებით ხდება თვის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის განაშთვა შემდგომ გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში.



ნახაზი №20 ელექტრონული სასაქონლო ზედნადების პროცესუალური დიაგრამა

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ელექტრონული სასაქონლო ზედნადების კონტროლს საგადასახადო ორგანო ახორციელებს ბიზნეს პროცესების შეუფერხებლად. თუ ადრე პროდუქციის გადამზიდავი ტრანსპორტის შეჩერება და საბუთების შემოწმება იყო აუცილებელი, რაც თავისთავად აფერხებდა პროდუქციის გადაზიდვის პროცესს, ასევე ხშირი იყო გადამხდლების მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება საგადასახადო ვალდებულებების მიმართ. კერძოდ ქალაქური სასაქონლო ზედნადებების შემთხვევაში, ხდებოდა გამოწერილი დოკუმენტის განადგურება და რეალიზაციის დამალვა. დღეს დღეობით ელექტრონულად გამოწერილი სასაქონლო ზედნადები აქტივაციის თარიღის გააქტიურებიდან ხელმისაწვდომია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირებისათვის, რომლების გზებზე ახორციელებენ მონიტორინგს. მობილურ

მოწყობილობებზე სპეციალური პროგრამული მოდულის საშუალებით, ხდება სასაქონლო ზედნადების გადამოწმება. მანქანის ნომრით ძებნისას სისტემა იძლევა ყველა აქტიურ ზედნადებების რეესტრს. ამდენად საგადასახადო ორგანოს არ უწევს ტრანსპორტის დაყოვნება იმ შემთხვევაში თუ მითითებულ ტრანსპორტზე სწორად არის შედგენილი სასაქონლო ზედნადები.

თავი IV სისტემის ტექნიკური გადაწყვეტა


პროექტზე მუშაობისას, ბევრი მსჯელობის შემდეგ, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა გადაწყვიტა აღნიშნული პროექტი განხორციელებინა შემოსავლების სამსახურში უკვე არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა მომხდარიყო ახალი სისტემის მარტივი ინტეგრაცია, უკვე არსებულ სისტემასთან. ვინაიდან, ახალმა სისტემამ უნდა გამოიყენოს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საკმაოდ დიდი რაოდენობა და უნდა იყოს თავსებადი უკვე არსებულ მონაცემებთან, აქედან გამომდინარე, პროექტის განხორციელებისთვის, არჩეულია ORACLE მონაცემთა ბაზა, ხოლო ინსტრუმენტი სისტემის შემუშავებისთვის Microsoft Visual Studio.net.

4.1. ORACLE მონაცემთა ბაზის საერთო მიმოხილვა

ORACLE მონაცემთა ბაზის არქიტექტურა გათვლილია დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებაზე და მომხმარებლების დიდ რაოდენობაზე (ათი და ასი ათასი) და შესაბამისად დიდია მოთხოვნა ამ პროდუქტის მიმართ. საქართველოში ცნობილია ასეთი დიდი მოცულობის მონაცემების მქონე ორგანიზაციები კომუნიკაციის (მაგთიკომი, ჯეოსელი), საფინანსო (ბაკები), ენერჯეტიკის (თელასი) სფეროებში. საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მონაცემთა ბაზის სიდიდით აღსანიშნავია შემოსავლების სამსახურის საგადასახადო საბაჟო მონაცემთა ბაზები. ORACLE მონაცემთა ბაზა გვიჩვენებს ფართო შესაძლებლობებს – უზრუნველყოფის მაღალ მზადყოფნას, გამოირჩევა მასშტაბურობით, ინფორმაციის უსაფრთხოებით და თვითმმართველობით. ORACLE მონაცემთა ბაზა შეიძლება გაიმართოს დაწყებული პატარა სერვერებიდან დამთავრებული ბევრპროცესორიანი სიმეტრიული კომპიუტერებით. ORACLE მონაცემთა ბაზის უნიკალური

შესაძლებლობა გვაძლევს საშუალებას ვიმუშაოთ მონაცემების ყველა ტიპებთან, დაწყებული ტრადიციული ცხრილებით, XML-დოკუმენტებით და კარტოგრაფიული მონაცემებით დამთავრებული, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ იგი როგორც ოპტიმალური არჩევანი ტრანზაქციების ოპერატიული დამუშავების აპლიკაციებთან მუშაობის დროს, გადაწყვეტილებების მისაღებად და ინფორმაციის მართვისას.

ORACLE მონაცემთა ბაზა 10g გვაძლევს საშუალებას კონსოლიდირებული იქნას ჰეტეროგენური ინფორმაცია ერთიან მონაცემთა ბაზაში, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მასშტაბურობას. ORACLE უზრუნველყოფს მონაცემების ყველა ტიპებს ტექსტების, აუდიო, ვიდეო, XML, ელ-ფოსტა, შეტყობინებების ჩათვლით და მუშაობს არსებული პლატფორმების უმრავლესობასთან დაწყებული WINDOWS, LINUX-დან Tru64-მდე დამთავრებული. მართალია კონსოლიდაცია არის უმარტივესი ფორმა ინფორმაციის ინტეგრაციის, მაგრამ ხშირად იგი რთულად მიღწევადია.



სურათი №5 ORACLE სერვერის სტრუქტურა

ORACLE მონაცემთა ბაზა გულისხმობს რელაციური მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას, რომელიც გვაძლევს ლოგიკური სტრუქტურის მანიპულაციის საშუალებას, რისი საშუალებაც არ აქვს სხვა მონაცემთა ბაზებს. რელაციური მონაცემთა ბაზა დაფუძნებულია მონაცემების ლოგიკურ ურთიერთობებზე. არის რელაციური ბაზის დაპროექტების ორი მიდგომა.

პირველი მიდგომარეობს იმაში, რომ კონცეპტუალური პროექტირების დროს იქმნება არა კონცეპტუალური მონაცემების მოდელი, არამედ მონაცემთა ბაზის მონაცემების რელაციური სქემები, რომლებიც შედგება რელაციური ცხრილებისგან.

მეორე დაფუძნებულია ფუნქციონალური მოდელის მექანიკურ გარდაქმნაზე, რომელიც შექმნილი იყო ადრე, ნორმალიზებულ რელაციურ მოდელში. ეს მიდგომა ყველაზე მეტად გამოიყენება დიდი და რთული მონაცემთა ბაზის სქემების პროექტირების დროს, რომელიც ჭირდება კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებს.

მონაცემთა ბაზის რელაციური მოდელი წარმოადგენს მონაცემებს ცხრილების ან რელაციების სახით.

რელაციური მონაცემთა ბაზა შექმნილია მონაცემთა ბაზის რელაციურ მოდელზე. განვიხილოთ ძირითადი განმარტებები და მონაცემთა ბაზის შემადგენლობა:

რელაცია (ცხრილი – ელემენტარული ინფორმაციული ერთეული) – ორგანზომილებიანი ცხრილი, რომელიც მოიცავს მონაცემების სტრიქონებს და სვეტებს.

რელაციის ხარისხი – რელაციის ატრიბუტების ოდენობას. აქ უნდა აღინიშნოს რომ არცერთი ორი ატრიბუტი არ შეიძლება იყოს ერი და იგივე დასახელებით.

კორტეჟი – რელაციის (ცხრილის) სტრიქონები, შეესაბამებიან ობიექტებს, კონკრეტულ მოვლენებს.

ატრიბუტები – ცხრილის სვეტები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტის, მოვლენების პარამეტრებს.

ატრიბუტის არეალი – ყველა შესაძლებელი მნიშვნელობების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება მიიღონ ატრიბუტებმა.

ცარიელი მნიშვნელობა – ეს არის მნიშვნელობა, რომელიც ეწერება ატრიბუტს კორტეჟში თუ ის არ არის გამოყენებული ან მნიშვნელობა არ არის ცნობილი.

გასაღები – ნებისმიერი ატრიბუტების ერთობლიობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რელაციური ცხრილის ყოველ კორტეჟს.

რელაციის გასაღები – გასაღებს შეუძლია აღწეროს მინიმალური ატრიბუტების სიმრავლე, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვროს ყოველი ატრიბუტის მნიშვნელობა კორტეჟში.

შემადგენელი გასაღები – გასაღები, რომელიც მოიცავს ორ ან მეტ ატრიბუტს.

პოტენციური გასაღები – ნებისმიერ რელაციურ ცხრილში შეიძლება აღმოჩნდეს ერთზე მეტი ატრიბუტი. ხშირად პირველად გასაღებად ირჩევენ პოტენციურ გასაღებს, რომლის გამოყენება ადვილია მონაცემების შეტანისთვის ყოველდღიური მუშაობის დროს.

პირველადი გასაღები – ველი ან ველების ერთობლიობა, რომელიც აკეთებს ჩანაწერის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებას.

გარე გასაღები – ატრიბუტების ერთობლიობა ერთ ცხრილში, რომელიც არის მეორე ცხრილის გასაღებიც. (ან იმავე ცხრილის). გამოიყენება ცხრილებს შორის ლოგიკური კავშირის გამოსავლენად. გარე გასაღების ატრიბუტებს არ არის აუცილებელი ჰქონდეს იგივე სახელები, რაც მათ შესაბამის გასაღების ატრიბუტებს.

რეკურსიული გარე გასაღები – გარე გასაღები, რომელიც მიმართავს თავისივე რელაციურ ცხრილს.

მშობელი ცხრილი – ცხრილი, რომლის ველები შედის სხვა ცხრილში

შვილობილი ცხრილი – ცხრილი, რომლის ველები იყენებს ინფორმაციას სხვა ცხრილის ველებიდან, რომელიც არის მოცემული ცხრილისთვის მშობელი.

ურთიერთობა ერთი მეორესთან – როდესაც ერთ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება ერთი ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

ურთიერთობა ერთი ბევრთან – როდესაც ერთ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება რამდენიმე ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

ურთიერთობა ბევრი ბევრთან – როდესაც ბევრ ჩანაწერს მშობელ ცხრილში შეესაბამება რამდენიმე ჩანაწერი შვილობილ ცხრილში.

რეკურსიული ურთიერთობა – ურთიერთობა, როცა ობიექტური სიმრავლე უკავშირდება თავისთავს.

ვიუ (*View*) – რელაციური მონაცემთა ბაზის ინფორმაციული ერთეული (ცხრილის ანალოგიური სტრუქტურით), ჩანაწერები რომელიც ჩამოყალიბდა სხვა ცხრილებისადმი მიმართვის შედეგად.

მიმართვის მთლიანობა – ცხრილში არჩეულ ველებში ჩანაწერების ადეკვატური განახლება.

ტრიგერი – ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მიმართვის მთლიანობის კასკადური ცვლილების მექანიზმს.

ინდექსი – ცხრილში შენახული მონაცემების სწრაფი წვდომის მექანიზმი, მათი წინასწარი სორტირების გზით.

ტრანზაქცია – ეს არის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემაზე ისეთი ზემოქმედება, რომელსაც იგი გადაყავს ერთი მთლიანობის მდგომარეობიდან მეორეში.

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონაცემთა ბაზის მოცულობა შეადგენს 4,5 TB (Terabyte) უმეტეს შემთხვევაში მონაცემები გროვდება პირების ან სხვა ორგანოს მიერ საგადასახადო, საბაჟო წარმოდგენილი ინფორმაციის, საგამომიებო დეპარტამენტის მიერ მოძიებული და წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ხოლო სახელმწიფო ხაზინიდან და შ.ს.ს მომსახურების სააგენტოდან მონაცემების მიღება ხდება ავტომატურად შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ სერვერზე და შემდგომ ხდება ამ მონაცემების დამუშავება.

აღსანიშნავია ის, რომ შემოსავლების სამსახურში არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზის სერვერი, რომელსაც უკავშირდება Oracel Application Server-ის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის ყველა სტრუქტურული (საგადასახადო და საბაჟო) ქვედანაყოფი, შსს მომსახურების სააგენტო, შსს სამინისტრო, გადასახადის გადამხდელები და ასევე არსებობს საჯარო ინფორმაცია, რომელსაც უკავშირდება ნებისმიერი ინტერნეტ მომხმარებელი. მკაცრად განსაზღვრულია წვდომა – ინფორმაციას მიღებაზე, თუ მონაცემების შეტანაზე.

მონაცემების დამუშავება მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურში შექმნილი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

4.2. ინტერნეტ აპლიკაციისათვის გამოყენებული ტექნოლოგია

Microsoft Visual Studio.net ინსტრუმენტის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ საგადასახადო საბაჟო კუთხით შექმნილია 175 ძირითადი მოხმარების პროგრამა, რომლის შემადგენელი ნაწილია 700-ზე მეტი პროგრამული კოდი.

Microsoft Visual Studio.net — ეს არის ახალი საშუალება, რომელიც შექმნა კომპანია Microsoft-მა, აპლიკაციების შესაქმნელად .net პლატფორმაზე მომუშავე პროგრამისტებისთვის. .NET- ეს არის ვებ-აპლიკაციების და ვებ-სერვისების შექმნის ტექნოლოგია.

.NET — ეს არის აბსოლუტურად ახალი პლატფორმა და ტექნოლოგიების ნაკრები, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ ძირფესვიანად შეცვალოს აპლიკაციების შექმნის პრინციპი. კომპანია ვარაუდობს მიახლოებით 30 პროგრამირების ენის გამოყენების საშუალებას, რომლებიც მიმართავენ ერთიანი კლასების იერარქიას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზისო სერვისებს. .NET აპლიკაციები არ კომპილირდება, ისინი გარდაიქმნება შუალედურ ენაში, უკანასკნელი ცნობილია როგორც Microsoft Intermediate

Language (MSIL) და სრულდება და იმართება ვირტუალური მანქანის მეშვეობით Common Language Runtime (CLR).

ასეთი მიდგომა გვადლევს რიგ უპირატესობებს, რადგან ენებს აქვს წვდომა სერვისების ერთ ნაკრებთან და შუალედურ კოდში გარდაქმნა მოხერხებულს ქმნის და პრობლემების გარეშე შეგვიძლია აპლიკაციებში ცალკეული ფრაგმენტები დავეწროთ სხვადასხვა პროგრამირების ენებით, შემდგომი ერთიან კოდში ინტეგრაციით.

.NET ინტენსიურად გამოიყენება პროგრამული ენა XML და პროტოკოლი SOAP. აღნიშნული გვადლევს საშუალებას შევქმნათ აპლიკაციები, რომლებიც არ არის მიზნული ერთი პლატფორმის კომპონენტებზე ან ობიექტებზე. ისინი დაფუძნებულია სერვისებზე. პროტოკოლი SOAP (რომელიც შემუშავებულია Microsoft, DevelopMentor და Userland Software ფირმების მიერ და უზრუნველყოფილია სხვა კომპანიების მიერ IBM და Oracle ჩათვლით) და Web-სერვისები .NET პლატფორმის ძირითადი ელემენტებია.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი უპირატესობებია:

კოდის კომპილაცია მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და შეცდომების დიდი ნაწილის გამოვლენა შეიძლება თავში, კოდის დაწერის დროს.

ბევრად გაუმჯობესებულია შესრულების დროის შეცდომების დამუშავება, try..catch ბლოკების გამოყენებით.

ინტერნეტ ბრაუზერში მუშაობის საშუალება, რაც გვადლევს საშუალებას აპლიკაცია გაიხსნას ნებისმიერ პირობებში ინსტალაციის გარეშე.

მომხმარებლის მართვის (controls) ელემენტები გვადლევს საშუალებას გამოვყოთ ხშირად გამოყენებული შაბლონები, ისეთი როგორც საიტის მენიუ.

კლასის მართვის და ბიბლიოთეკების ელემენტების ფართო ნაკრები გვადლევს საშუალებას სწრაფად შევქმნათ აპლიკაციები.

.NET პლატფორმის მრავალი პროგრამირების ენებზე კოდების დაწერის საშუალება, რაც გვადლევს საშუალებას გვერდის კოდები დავეწროთ V.NET, Delphi.NET, C#, J# და სხვა.

აქვს ქეშირების მთელი გვერდის ან მისი ნაწილის საშუალება უკეთესი წარმადობისათვის. გვერდზე გამოყენებული მონაცემების ქეშირების საშუალება.

აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა ფაილებში გადანაწილდეს ვიზუალური და ბიზნეს-ლოგიკის ნაწილები (<<code behind>>). მიმართების დამუშავების გაფართოებული მოდელი. გაფართოებული მოვლენების მოდელი. სერვერების მართვის ელემენტების გაფართოებული მოდელი. .NET პლატფორმის საუკეთესო პროგრამირების ენა C(Sharp)#.

4.3. ელექტრონული დეკლარირების მოდული

იმის გათვალისწინებით, რომ პორტალზე განთავსებული მოდულები მჭიდრო კავშირშია საბუღალტრო პროგრამებთან, და ხშირ შემთხვევაში, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ხდება საბუღალტრო პროგრამებში ასახული მონაცემების გამოყენება, სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი გადაწყვეტილია ელექტრონული ვებ სერვისების გზით. ასეთი გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს მომხმარებელს, საბუღალტრო და სხვა დამხმარე პროგრამულ მოდულებში მარტივად ჩააშენოს პორტალზე არსებული მოდულები.

4.3.1. ელექტრონული დეკლარირების პროექტის ტექნიკური აღწერა

პროექტი შექმნილია ASP.NET v4.0


პროექტი იყენებს .net Framework 4.5, jquery 1.9.0

პროექტი არის სამ დონიანი asp.net web from application (შემდეგში web-ი), უკავშირდება asp.net web service application (შემდეგში web service-ი) რომელიც თავის მხრივ უკავშირდება oracle-ს მონაცემთა ბაზას.

Web-ში გამოთვლები და ფუნქციონალი სრულად გატანილია javascript-ის მხარეს. კლიენტის მხარეს გენერირდება json ობიექტი, რომელიც სერვერის მხარეს გადმოეცემა web service -ის გავლით. web service-ი მიღებულ json -

ობიექტს აკონვერტირებს XML-ში და გადასცემს მონაცემთა ბაზას (oracle). მონაცემთა ბაზა მიღებულ XML-ს უტარებს ვალიდაციას და აინსერტებს ცხრილებში.

Web-ში რაიმე გვერდის გამოძახებისას web-დან web service-ის გავლით მონაცემთა ბაზას გადაეცემა შესაბამისი უნიკალური კოდი ID და პარამეტრები რომლის მიხედვით მონაცემთა ბაზა web service -ს უბრუნებს ორ ობიექტს XLST-ს და select-ს ან პროცედურას თავისი შესაბამისი პარამეტრებით. ამ უკანასკნელით web service-ი აგენერირებს XML-ს, შემდეგ XML-ით და XLST-ით აგენერირებს XHTML-ს და უგზავნის web- აპლიკაციას.



ნახაზი №21 გვერდის გამოძახების სქემა


პროექტში აპლიკაციის (დეკლარაციის ფორმის) აწყობა ხდება მონაცემთა ბაზის მხარეს. Web და web service -ში პროგრამული კოდი არ იცვლება. ასეთი მიდგომა ამარტივებს სისტემის ახალი ვერსიების დანერგვას და არ იწვევს პროგრამული კოდის ცვლილებას.

პროექტში შეიძლება აიწყოს ნებისმიერი რაოდენობის აპლიკაცია (დეკლარაციის ფორმა), რომლებსაც თავის თავში შეეძლება ერთმანეთის გამოძახებაც.

4.3.2. ობიექტის გენერაცია

ობიექტი თავის მხრივ წარმოადგენს ობიექტების და კონტროლების ერთობლიობას. პროექტში ობიექტი წარმოადგენს objects-ის ცხრილის ჩანაწერს. ცხრილის Primary Key არის ID რომელიც თავის მხრივ არის ობიექტის უნიკალური კოდი.

ობიექტის გენერირება



ნახაზი №22 ობიექტის გენერირება

ობიექტი HTML-ის თვალსაზრისით არის მისი ნებისმიერი ტეგი (div,span,a...), რომელსაც უნდა ქონდეს კლასი „ksc“ და ატრიბუტი “c_i” რომლის მნიშვნელობა წარმოადგენს ობიექტის უნიკალურ კოდს (id-ს).

```
<div class="ksc" c_id="1" />
```

ობიექტს ასევე არ შეიძლება ჰქონდეს პარამეტრები, ანუ მონაცემები რომლებიც საჭიროა ობიექტის ინიციალიზაციისთვის. ეს პარამეტრები უნდა იყოს json მასივში ობიექტების სახით. name პარამეტრის სახელი, value პარამეტრის მნიშვნელობა.

მაგალითად:

```
<div class="ksc" c_id="1" parameters="[ {"name": "V_SEQ_NUM" ,  
"value" : 123 }, {"name": "V_STATUS" , "value" : 1}]" />
```

Web-ი გვერდის ჩატვირთვისას ნახულობს ამ ობიექტებს შესაბამისი პროცესით web service-იდან იღებს შესაბამის html-ს და მოცემული ტეგის შიგთავსად სვამს, შემდეგ ამ შიგთავსში ეძებს ობიექტებს ანუ class="ksc" და რეკურსიულად იმეორებს შესაბამის მოქმედებებს.

ობიექტის xls-ი, რომლიდანაც მიიღება html-ი, ინახება ცხრილის xls ველში.


Xml-ის მისაღებად objects ცხრილის შესაბამის ველში არის გაწერილი სელექტი, რომელსაც პარამეტრების სახით გადაეცემა ამავე ცხრილის პარამეტრების ველში არსებული პარამეტრები.

Web -იდან json მასივის სახით გადმოცემული პარამეტრების სახელების შედარება ხდება objects ცხრილის შესაბამის ველში არსებული პარამეტრების სახელებთან, აქვე განისაზღვრება რა ტიპისაა ეს პარამეტრები და web-იდან გადმოცემული მნიშვნელობები კონვერტირდება შესაბამის ტიპებში .

მიღებული xml და xsl - კომპილირდება html-ში და უბრუნდება web-ს ნებისმიერი ობიექტი შეიძლება მიეზას ცხრილს . ამისათვის objects ცხრილის ერთ-ერთ ველში „ცხრილის დასახელება“ იწერება შესაბამისი ცხრილის სახელი და იწერება ამ ცხრილის პირველადი გასაღები, და მიეთითება ამ ცხრილის იმ ველების ჩამონათვალი, რომლებზეც შეიძლება განახლების გაკეთება.

ობიექტის შენახვისას web-ის მხრიდან json ობიექტის გენერაცია ხდება შემდეგნაირად: ობიექტის შიგნით Javascript-ი ეძებს field-ს კლასის მქონე კონტროლებს, იღებს მათ მნიშვნელობებს რომლებსაც, ამავედროულად უნდა ჰქონდეს x_name ატრიბუტი, სადაც წერია რა ველში უნდა ჩაიწეროს შესაბამისი მნიშვნელობა.

ობიექტის მონაცემების შენახვა



ნახაზი №23 ობიექტების მონაცემების შენახვა

ობიექტის გენერაციისას ხდება შემდეგნაირი json ობიექტის გენერაცია :

json ობიექტის გენერაცია :

```

{"kscs":{"c_id":1,
  "kscs":[{"c_id":2,
    "kscs":[],
    "ROW":{"SEQ_NUM":"13284012",
      "COL_1":"0.00",
      "COL_1_5":"0.00",
      "COL_2":"0.00",
      "COL_2_5":"0.00"
    }
  ]},
  {"c_id":4,
    "kscs":[]
  }
}

```

```

"ROW":{}
},
{"c_id":3,
"kscs":[,
"ROW":{"SEQ_NUM":"13284012",
"COL_1":"0.00",
"COL_1_1":"0.00",
"COL_2":"0.00",
"COL_3":"0.00",
"COL_4":"0.00",
"COL_5":"0.00"}
}],
"ROW":{"SEQ_NUM":"13284012",
"DAR":"0",
"STEM":"0"}
}
}

```

ანუ ობიექტის შენახვის დროს გენერირდება json სტრინგი, რომელშიც c_id არის ობიექტის უნიკალური კოდი.

kscs არის ამ ობიექტში შიგნით არსებული ობიექტების json სტრინგების მასივი.

ROW არის ამ ობიექტის ველების და მნიშვნელობების json სტრინგი.

მაგალითად

```
"ROW":{"SEQ_NUM":"13284012",
```

```
"DAR": "0",  
"SHEM": "0"}  
}
```

- ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს შესაბამის ობიექტზე მიბმულ ცხრილში არსებულ ველებს : SEQ_NUM, DAR, SHEM და ამ ობიექტის შენახვისას მისი მნიშვნელობები განახლდება მნიშვნელობით - 13284012,0,0

ობიექტის შენახვისას web-ი ამ json სტრინგს გადასცემს web service-ს, რომელიც შემდეგ ამ სტრინგს გარდაქმნის შესაბამის xml-ებად და უშვებს ბაზის მხარეს .

```
<ROWSET><ROW>  
  <SEQ_NUM>13284012</SEQ_NUM>  
  < DAR >0.00</ DAR >  
  < SHEM >0.00</ SHEM >  
</ROW></ROWSET>
```

ბაზის მხარეს ეშვება

```
sys_pkg.save_object(v_id, v_lang, v_xml);
```


სადაც v_id არის ობიექტის id, v_lang არის ობიექტის ენა, v_xml ზედა XML-ი save_object ახდენს შესაბამისი ობიექტის შენახვას.

ობიექტის წამოღების და შენახვის დროს ბაზის მხარეს სისტემა უშვებს ვალიდაციის პროცედურას, რომელიც წერია objects ცხრილის validate_in ველში. ამ ვალიდაციის პროცედურის პარამეტრები კი გაწერილია დამატებით ველში.

4.3.3. კონტროლების გენერაცია

პროექტში არის თვისი Javascript კონტროლები: გრიდი, კომბო ბოქსი, დროკდაუნი, ხე, აკარდიონი .

გრადკონტროლის გენერირება



ნახაზი №24 გრადკონტროლის გენერირება

4.3.4. გრადის გენერირება

გრადი არის რთული კონტროლი, რომელიც შიგნით შეიძლება შეიცავდეს, როგორც სხვა კონტროლებს მათ შორის გრადს, ასევე თვით ობიექტებსაც.

გრადი, როგორც ობიექტი HTML-ის თვალსაზრისით არის მისი ნებისმიერი ტეგი (div,span,a...), რომელსაც უნდა ქონდეს კლასი „ksg“ და ატრიბუტი “grid_id” რომლის მნიშვნელობა წარმოადგენს გრადის უნიკალურ კოდს.

```
<td class="end_out ksg" grid_id="5" def_page_size="10">
```

```
<xsl:attribute name="x_param">
```

```

        [{ 'name': 'SEQ_NUM', 'value' : '<xsl:value-of
select="DATA/SEQ_NUM"/>' }, { 'name': 'AP', 'value' : '<xsl:value-of
select="DATA/AP"/>' } ]

</xsl:attribute>

<xsl:attribute name="param">

        [{ 'name': 'SEQ_NUM', 'value' : '<xsl:value-of
select="DATA/SEQ_NUM"/>' } ]

</xsl:attribute>

</td>

```

გრიდს ასევე შეიძლება ქონდეს პარამეტრები, ანუ მონაცემები, რომელიც საჭიროა ობიექტის ინიციალიზაციისთვის. ეს პარამეტრები უნდა იყოს Json მასივში ობიექტების სახით name პარამეტრის სახელი value პარამეტრის მნიშვნელობა.

მაგალითად:

```

<xsl:attribute name="x_param">

        [{ 'name': 'SEQ_NUM', 'value' : '<xsl:value-of
select="DATA/SEQ_NUM"/>' }, { 'name': 'AP', 'value' : '<xsl:value-of
select="DATA/AP"/>' } ]

</xsl:attribute>


```

აქ გრიდს გადაეცემა ორი პარამეტრი.

ასევე გრიდს, როგორც ობიექტს შეიძლება გადავცეთ XLST-ს პარამეტრი, რომელიც შემდეგ XSL-ში შეგვეძლება გამოყენება. ამ ორ პარამეტრში სხვაობა ის არის, რომ ერთი გამოიყენება sql სელექტში მეორე xsl-ში.

Web-ის ksg კლასის ობიექტებს გაივლის რეკურსიულად, ობიექტების ანალოგიურად და web service-ი წამოიღებს შესამაბის HTML-ებს.

სტანდარტული კონტროლების გენერირება



ნახაზი №25 სტანდარტული კონტროლების გენერირება

ეს ხდება შემდეგი სახით, თავიდან ხდება გამოძახება `get_grid` სერვისის, რომელიც აბრუნებს გრიდის html-ს მონაცემების გარეშე. შემდეგ ხდება გამოძახება პარალელურ რეჟიმში `get_grid_r_data` და `get_grid_s_data`. პირველი აბრუნებს გრიდის ძირითად მონაცემებს, სიას რომლითაც ივსება გრიდი. მეორე აბრუნებს გრიდის მონაცემებს, რომლებითაც ივსება ჯამური სტრიქონი და ასევე გამოანგარიშდება გვერდების და ჩანაწერების რაოდენობა.

გრიდის ძირითადი ნაწილი შედგება 5 ნაწილისგან:

- სათაურები
- ფილტრები
- მონაცემები
- ჯამური მონაცემები
- გვერდების და იმპორტ-ექსპორტის ნაწილი

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში აღწერილი ელექტრონული მომსახურების სერვისების პროექტის შემუშავების და დანერგვის მიმდინარეობის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

დანერგილმა საინფორმაციო სისტემამ („გადამხდელის პორტალი“) და სისტემის დანერგვის შედეგად ბიზნეს პროცესების დახვეწა, გამარტივებამ ხელი შეუწყო მომსახურების გაუმჯობესებას, ხარჯების შემცირებას, ინფორმაციის სწრაფ გადამუშავებას, შესაძლებელი გახადა დროსი და რესურსების ეფექტური მართვა. უპირველეს ყოვლისა აღნიშნულა სისტემამ ხელი შეუწყო, გადასახადის გადამხდელებს, შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობის გამარტივებას, სწორედ ელექტრონული მომსახურების სერვისების დამსახურებაა სამსახურის დღევანდელი სლოგანი - „ურთიერთობა მარტივია“.

სისტემის დანერგვით უზრუნველყოფილია გადასახადის გადამხდელებისათვის მოსახერხებელი, მარტივი და მდგრადი პორტალის შექმნა, რომელიც იძლევა საგადასახადო ვალდებულებების დროულად და უშეცდომოდ განხორციელების საშუალებას, აღნიშნულ პორტალზე დაცულია გადამხდელის შესახებ არსებული ყველა სახის მონაცემი. აღნიშნული სისტემის შექმნა არამარტო საქართველოში, არამედ სხვა წამყვანი ქვეყანებისთვისაც სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული სისტემის ავტომატიზაცია განახორციელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურმა. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველომ შეისწავლა აღნიშნული პროექტის ფარგლებში ინიცირებული პროცესების დეტალები და თითოეული პროცესისთვის დაიწერა ფუნქციონალური სპეციფიკაცია, სადაც დროში გაწერილი იყო ეტაპობრივად შესასრულებელი დავალებები, რაშიც მონაწილეობა მივიღე, როგორც ანალიტიკოსმა და პროექტის ერთ ერთმა ხელმძღვანელმა. ასევე ეტაპობრივად

განვახორციელოთ შესრულებული სამუშაოების პირველადი ტესტირება, მომზადდა სახელმძღვანელოები თითოეული ინტერფეისისათვის, გადამხდელისათვის ჩაიწერა და ვებ გვერდზე განთავსდა ვიდეო სახელმძღვანელოები. მუდმივად ვახდენთ ახალი მოთხოვნების ინიცირებას და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე არსებული სერვისების განახლებას. დღეისათვის, მიმდინარეობს სამუშაოები მობილური აპლიკაციების შექმნაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისების მარტივად გამოყენების საშუალებას და განაპირობებს მომხმარებლების დროულ ინფორმირებას მიმდინარე პროცესებზე.

ელექტრონული მომსახურების სერვისის დანერგვამ გამოიწვია შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთობების გამარტივება, დოკუმენტების დამუშავებისათვის საჭირო დროის, ხარჯის და პერსონალის ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი შემცირება. მატერიალური სახსრების დაზოგვა, მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება, დოკუმენტების ქაღალდის ფორმატში წარმოების აღმოფხვრა, მომსახურების ცენტრებში რიგების შემცირება, გამორიცხა სხვა მონაწილე უწყებებში საბუთისთვის წასვლის საჭიროება. ადამიანური ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანამ, გადამხდელსა და საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრაციის მუშაკებს შორის კონტაქტის შემცირებამ, ხელი შეუწყო კორუფციის აღმოფხვრას და შესაბამისად გამოიწვია სანდოობის გაზრდა.

მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფის უფრო სწრაფი ინტერფეისი, დოკუმენტების რეალურ დროში წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც იძლევა რესურსების უფრო ეფექტურად მართვის საშუალებას. შემოსავლების სამსახურმა მომხმარებლებს შესთავაზა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციასთან ურთიერთობების მოსახერხებელი და გამჭვირვალე ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნეს პროცესების სწრაფად მიმდინარეობას.

გადასახადის გადამხდელისთვის მირებული სარგებელი:

- ✓ დროის შემცირება - არ არის შემოსავლების სამსახურის ოფისებში მისვა და რიგებში ლოდინი;
- ✓ დროსი ეფექტური მართვა - შესაძლებელი გახდა დეკლარაციების და დოკუმენტების წარდგენა გადამხდელისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს; არ არის საჭირო ინფორმაციის მხოლოდ სამუშაო საათებში წარდგენა, რაც ამცირებს დაგვიანებული დეკლარირების გამო ფინანსური სანქციების რაოდენობას;
- ✓ გამჭვივალებობა - შესაძლებელია პროცესზე თავალის დევნა ონ-ლაინ რეჟიმში, აღარ არის ვალდებულება სერვისცენტრში მისვლის მაგ. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ნაშთის გარკვევის მიზნით.
- ✓ მომსახურების გაუმჯობესება - დოკუმენტების მიღება-დამუშავებისთვის საჭირო დროსი შემცირება. დეკლარაციის წარდგენისას მონაცემები დაუყოვნებლივ აისახება გადამხდელის ბარათზე.
- ✓ ხარჯების შემცირება - დროის ეკონომიის, ტრანსპორტირების, სამუშაო ძალის, მატერიალური მატარებლების (ქაღალდი) და სხვა.

მთავრობისთვის მიღებული სარგებელი:

- ✓ დოკუმენტების/ დეკლარაციების დამუშავებაზე დროის შემცირება - ქაღალდის ფორმატში წარმოდებული დეკლარაციების და დოკუმენტების ნაკადის შემცირება, მონაცემთა დამუშავების პროცედურების ავტომატიზაცია, ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია;
- ✓ ხარჯების შემცირება - დროსი ეკონომიის, მატერიალური მარაგების შემცირებისა და ადამიანური რესურსების უკეთ გამოყენება-გადანაწილების გზით;
- ✓ სანდოობის გაზრდა - გადამხდელსა და სახელმწიფო მოხელეს შორის კონტაქტების შემცირება, ადამიანური ფაქტორით გამოწვეული დაყოვნებების შემცირება, გამჭვირვალების გაზრდა;
- ✓ მონაცემების სწრაფად და მარტივად დამუშავება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სადისერტაციო ნაშრომში არწერილი პროექტი ქვეყნის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისად მისი წარმატებული მიმდინარეობა ქვეყნის წარმატების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
2. შემოსავლების სამსახურის 2015-2016 წლების „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია“;
3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანება;
4. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება;
5. „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანება;
6. ITIL (IT Infrastructure Library) -ინფრასტრუქტურის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიბლიოთეკა, მეთოდოლოგიის 5 ტომი;
7. ITIL V3 Service_Strategy, ITIL V3 Service_Design, ITIL V3 Service_Transition
8. MOF - Microsoft Operations Framework 4.0 – IT ინფრასტრუქტურის, პროცესების და ამოცანების მართვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
9. Администрирование систем - Функция управления сервисами - იანვარი 2005 წ.
10. Управление персоналом - Функция управления сервисом - იანვარი 2005 წ.

11. Quality management systems – Fundamentals and vocabulary - (რუსული ვერსია) - ე. ლებედევი 15.02.2006 წ.;
12. Аруп Нанда и Стивен Фейерштейн – „Oracle PL/SQL для администраторов баз данных“ - 2008
13. 10. СКОТТ УРМАН, РОН ХАРДМАН, Майкл МакЛафлин - „ORACLE DATABASE 10g. Программирование на языке PL/SQL“ 2006
14. Томас Кайт - „Oracle: Эффективное проектирование приложений“ – 2006
15. Джон Джермейни, Дональд К. Бурлесон – „Настольная книга по администрированию Oracle Application Server 10g“ – 2006
16. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი - <http://mof.ge/>;
17. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი <http://rs.ge/>;
18. საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“;
19. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების პროტოკოლები;
20. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N1000 – „ელექტრონული ფორმით საგადასახადო დეკლარირების შესახებ“;
21. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N686 - „ელექტრონული ფორმით საგადასახადო მიმოწერის/ დეკლარირების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების თაობაზე;
22. გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის ელექტრონული ფორმით მიმოწერის წესი;
23. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება N38657 „ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის სერიის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.
24. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 6 აგვისტოს ბრძანება N636 „სასაქონლო ზედნადებების გამოწერისა და გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“